პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი № 100 (12916) | ოთხშაბათი, 29 აპრილი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

დღეს ჩვენს ნომერშია:

- შრომითი საჩუქრები სამშობლოს
- ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მასობრიობისა და ქმედითობისათვის
- ცხოვრება თეატრის სცენაზე

პარტია ჩვენი!

მსოფლიო დიდი დღესასწაულის წინაშეა. მთელი პროგრესული კაცობრიობა ემზადება ზეიმით აღნიშნოს 1 მაისი — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე, ყველა ქვეყნის მუშათა ერთიანობისა და ძმობის დღე.

საბჭოთა ხალხი ამ მიწაზე ყველგან და ყველაფერში იგრძნობა მზადება ამ დიდი მოვლენისათვის.

კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი პარტიისა და ხალხის ერთიანობას ახმარენ კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამის პრაქტიკულად განხორციელებას. პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს XXII კონგრესის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა, რომლებიც პარტიის XXII ყრილობის შემდეგ გაიმართა. ამ პლენუმებზე შემუშავებულია ღონისძიებანი პარტიის პროგრამის პრაქტიკულად შესრულებისათვის, გადაჭრილია ჩვენი ქვეყნის ეკონომიური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი პრობლემები.

დიდი ლენინის პარტია, რომელიც მთელი საბჭოთა ხალხის ავანგარდი გახდა, დაუცხრომლად ზრუნავს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ტემპის დასაჩქარებლად, ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლებისათვის. ამ დიდი ზრუნვით იყო გამსჭვალული ხახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნის, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ორგანოების უფლებათა გაფართოებისა და სხვა რეგოლუციური ღონისძიებანი, რომლებმაც კიდევ უფრო აამაღლეს კომუნისტური პარტიის, როგორც მთელი საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის როლი.

ახლა პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მრეწველობის ყველაზე უფრო პროგრესული, ეკონომიურად ეფექტიანი დარგების, უწინარეს ყოვლისა ქიმიის განვითარებას. ქიმია დღეს კომუნიზმის დამკვრელური ფრონტია. და პარტია და ხალხი მას ახმარენ მთელ ძალებს, უდიდეს მატერიალურ რესურსებს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობა მთელი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის საქმე გახდა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა დასახა ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის. ახლა მთავარი ის არის, რომ ინტენსიფიკაციის გზით მკვეთრად გადიდდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება. ამას წინათ ჩვენს პრესაში გამოქვეყნდა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის 1964 წლის 13 აპრილის ბარათი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისადმი „პარტიის კურსის — სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის კურსის განხორციელებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი“. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, მთელმა საბჭოთა ხალხმა მოიწონა ეს ბარათი, როგორც უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

კომუნიზმის მშენებლობის ამოცანები სულ უფრო დიდ მოთხოვნებს აყენებს ახალი ადამიანის აღზრდის საქმეში. ამიტომაც პარტია დაუცხრომლად ზრუნავს ხალხის იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის, იდეოლოგიური მუშაობის სრულყოფისათვის. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრებმა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა და პლენუმის მიერ მიღებულმა ღონისძიებებმა „ახალი ეტაპი შექმნეს იდეური ცხოვრების ყველა უბანზე.

ჩვენი პარტია, რომელიც ასრულებს ვ. ი. ლენინის ანდერძს, არ კმაყოფილდება მიღწეულით. მისთვის უცხოა გულდამშვიდება და ყოყოჩობა, იგი გვასწავლის ვიყურებოდეთ წინ, გულმოდგინედ ვძლევდეთ სიძნელეებს, ვიპყრობდეთ ახალ სიმაღლეებს, ვიყოთ შეურიგებელნი ნაკლოვანებებისადმი, ავამოქმედოთ ახალ-ახალი რეზერვები. სკკპ ცენტრალური კომიტეტი საპირველმაისო მოწოდებებში ყველა საბჭოთა ადამიანს მოუწოდებს აქტიურად იბრძოლოს კომუნიზმის მშენებლობის პროგრამის შესასრულებლად, თავდადებით იშრომოს, გაანმტკიცოს დისციპლინა, მტკიცედ გაიცალშრომა წარსულის გადმონაშთებს, ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ.

პარტია განუხრელად ამაღლებს პოლიტიკური და ორგანიზაციულ-ტექნიკური ხელმძღვანელობის დონეს, სრულყოფს მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს. პარტიამ წარმატებით გარდაქმნა თავისი ორგანიზაციები საწარმოო პრინციპის მიხედვით, განუხრელად ამაღლებს პირველადი ორგანიზაციების როლს და პარტიული ორგანოების პასუხისმგებლობას, ავითარებს კომუნისტების შემოქმედებითს აქტივობასა და ინიციატივას.

საბჭოთა საქართველოს ხახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების მაგალითზე მეტად თვალსაჩინოდ ჩანს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი. მარტო უკანასკნელ წლებში რამდენი რამ ახალი გაკეთდა, შეიქმნა ჩვენს რესპუბლიკაში! ზრდის ტემპებით, ახალშენებლობებით ვეღარ იცნობთ ჩვენს სოფლებსა და ქალაქებს. თბილისში აშენდა იმდენი ახალი სახლი, რამდენიც მთელი ოხუთმეტი საუკუნის მანძილზე. მოპოვებულ დიდ წარმატებათა გამო ჩვენმა მეჩიაღებმა, ქიმიკოსებმა, მარცვლეული კულტურის უხვი მოსავლის მოყვანის ოსტატებმა, რესპუბლიკის ყველა მშრომელმა შრშნან სამჯერ დაიმსახურეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მხურვალე მოლოცვა.

დღეს თვითეული უწინაზრახვა ადამიანი ხედავს, რომ კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც მთელი ხალხის პარტიად გადაიქცა, კიდევ უფრო განმტკიცა თავისი კავშირი მასებთან, შეიძინა ახალი გოლიათური ძალები. ცხოვრება ადასტურებს, რომ პარტიის პოლიტიკა და გეგმები არის ხალხის პოლიტიკა და გეგმები, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ლენინური პოზიცია, ჩვენი პარტიის ლენინური კურსი მთლიანად ასახავს საბჭოთა ხალხის მისწრაფებებს და ხალხი ამ კურსს ერთსულოვნად იწონებს, ეს კურსი შეესაბამება საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ინტერესებს, მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ინტერესებს. „ჩვენი პარტია, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1964 წლის 15 თებერვლის დადგენილებაში, — მიდის და კვლავაც ივლის შემოწმებული ლენინური გზით და ვერავინ და ვერასოდეს ვერ ააცდენს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ამ კაცსს — XX და XXII ყრილობების კურსს“.

ლენინური პარტია წმიდად ასრულებს თავის მოვალეობას საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის წინაშე. იგი მტკიცედ დგას მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე.

კომუნისტური პარტიის სიტყვა და საქმე მუდამ ერთია. ყოველივე, რასაც პარტია ისახავს, ხორციელდება. ასე იყო და კვლავაც ასე იქნება! ლენინის პარტიას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სხვა საქმე, გარდა ხალხისათვის უანგარო სამსახურისა. პარტია ხალხისთვის არსებობს და ხალხს ემსახურება. ამიტომაც ხალი იმეორებს ვლადიმერ მაიაკოვსკის სიტყვებს და სიამაყით ამბობს: პარტია ჩვენი!

გაუმარჯოს ლენინის მიერ შექმნილ ხახელოვან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

საპირველმაისო ნობათი

ხახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ შეასრულა ოთხი თვის გეგმა

საქართველოს სსრ ხახალხო მეურნეობის საბჭოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, პირველი მაისის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე ახალ წარმატებებს მიაღწიეს: ვადამდე, 28 აპრილს შესრულდა მთლიანი პროდუქციის გამოშვების ოთხი თვის გეგმა.

ოთხი თვის დავალების ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინეს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ზესტაფონის ფერომეტალნობთა ქარხნის, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველოს, ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ვ. ი. ლენინისა და ს. ორჯონიკიძის სახელობის შახტების, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნისა და სახეხი ჩარხების ქარხნის, რუსთავის ცემენტის ქარხნის, თბილისის სართავსატრიკოტაჟო კომბინატისა და სხვა კოლექტივებმა.

მიმდინარე თვის ბოლომდე გეგმის გადაჭარბებით გამოშვებული იქნება მილონობით მანეთის თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, ფოლადის მილები, მანგანუმის მადანი, ქვანახშირი, ღია ნავთობპროდუქტები, ავტომობილები, ცემენტი, შიფერი, ტრიკოტაჟის საცვალი და ზედა ტრიკოტაჟი, სამკერვალო და საკონდიტრო ნაწარმი, ნატურალური ჩაი და სხვა სახეობათა მრეწველობის პროდუქცია.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა მშრომელები კიდევ უფრო ფართოდ აჩაღებენ შეჯიბრებას შვიდწლედის მეექვსე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. (საქდესი).

ვადაზე ადრე

ახალციხე. (საკ. კორ.). ქვანახშირის მაღაროთა სამმართველოს № 1 შახტის პირველი უბნის სამთოელებმა ვადაზე ადრე შეასრულეს ვ. ი. ლენინის დაბადების 94 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულება. 20 აპრილისათვის გადაჭარბებით გაანალდეს ოთხი თვის დავალება და გეგმის გადამეტებით მისცეს სამშობლოს ათობით ტონა ნახშირი. ახალციხელი სამთოელები ახლა საპირველმაისო შრომითს ვახტზე დგანან. დაწინაურდა თ. შარიქაძის კომუნისტური ცალა.

ბამბეულის კომბინატში

ზუგდიდი. (საკ. კორ.). № 2 სართავი ფაბრიკის კოლექტივმა პირველი კვარტალის გეგმა 107,5 პროცენტით შეასრულა და გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცა 52 ტონა ნართი. ფეიქრებმა კიდევ უფრო გააძლიერეს [illegible]ობის ტემპი აპრილში, რათა ღირსეული საჩუქარი მოუმზადონ შრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს — 1 მაისს. ფეიქრებმა პირილის პირველი ნახევრის დავალება 105 პროცენტით გაანალდეს.

სურათზე: (მარჯვნიდან მარცხნივ): სართავი ფაბრიკის უფროსი ზ. მარღიშვილი, მეფთილე ა. ნუმარაშვილი, ოსტატის თანაშემწე ა. სიუკაევი, მეფთილე თ. ნოსრუბაშვილი და ფაბრიკის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი გ. ბერიშვილი ამოწმებენ გამოშვებული ნართის ხარისხს.

ფოტო შ. კუკულავასი.



აკადემიკოსი მხატვრების გამოფენის წარმატება

გუშინ საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები ამხანაგები გ. ა. გეგეშიძე, მ. ი. კუჭავა, ვ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, ა. ტ. სტუჩენკო, გ. ს. ძოწენიძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, ო. ე. ჩერქეზია, ა. ნ. ინაური ეწვივნენ საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში სსრ კავშირის მხატვართა აკადემიის წევრების ნაწარმოებთა ჯგუფურ გამოფენას, რომელიც ამას წინათ გაიხსნა. მათ მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა აკადემიკოსების, ლენინური პრემიის ლაურეატების მ. ანიკუშინის, ა. დეინეკას, ლ. კერბინის, ს. კონენკოვის, პ. კორინის, მ. სარიანის, ვ. ფავორსკის და ფუნჯისა და საჭრისის სხვა თვალსაჩინო ოსტატების ნამუშევრებს.

(საქდესი).

აქუმა ოგინგა ოდინგა მოსკოვს გაფრინდა

ორ დღეს იყო თბილისში კენიის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს კენიის აფრიკელთა ეროვნული კავშირის პარტიის ვიცე-თავმჯდომარე, შინაგან საქმეთა მინისტრი აქუმა ოგინგა ოდინგა.

28 აპრილს, დილას, დელეგაცია მოსკოვს გაფრინდა. საპატიო სტუმრები თბილისის აეროდრომზე გააცილეს ამხანაგებმა: დ. გ. სტურუამ, გ. ი. ჩოგოვაძემ, ა. ნ. ინაურმა, საქართველოს სსრ ხაზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრმა ო. ა. ქავთარაძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგემ ზ. მ. რატიანმა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ვ. ი. მაისურაძემ, რესპუბლიკის პროკურორმა პ. ე. ბერძენიშვილმა, ქალაქ თბილისის მთავარმა არქიტექტორმა ი. ნ. ჩხენკელმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ოგინგა ოდინგასთან ერთად მოსკოვს გაფრინდნენ კენიის პრემიერ-მინისტრის კანცელარიის ხახელმწიფო მინისტრი ჯოზეფ მურუმბი, კენიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ადალა ოტუკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ბ. თ. პოდცერობი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს აფრიკის პირველი განყოფილების გამგის მოადგილე ს. ა. სუზდალეი, აკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების წარმომადგენელი ი. ა. არკადინსკი და სხვა თანმხლები პირები.

(საკდესი).

აჰმედ ბენ ბელა სსრ კავშირში

მოსკოვი, 28 აპრილი. (საკდესი). ალჟირის პარტიის — ეროვნული განთავისუფლების ფრონტის გენერალური მდივანი, ალჟირის ხახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი აჰმედ ბენ ბელა და მისი თანმხლები პირნი დღეს მოსკოვიდან ტაშკენტს გაემგზავრნენ.

მოგზაურობაში აჰმედ ბენ ბელას ახლავან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი და სხვები.

ტაშკენტი, 28 აპრილი. (საკდესი). ალჟირის პარტიის — ეროვნული განთავისუფლების ფრონტის გენერალური მდივანი, ალჟირის ხახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი აჰმედ ბენ ბელა მის თანმხლებ პირებთან ერთად დღეს მოსკოვიდან ჩამოვიდა უზბეკეთის დედაქალაქში.

ქალაქის მშრომელები გულთბილად და გულითადად შეხვდნენ ალჟირელ მეგობრებს.

მოსკოვის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა გეგმა

მოსკოვი, 28 აპრილი. (საკდესის კორ.). ეროვნული საწარმოებისა და ტრესტების მოწვევით დღეს პირველი მაისის დღესასწაულში მონაწილეობისათვის მოსკოვიდან გაემგზავრა საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია: გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — კემეროვოს პროფკავშირთა სამრეწველო საოლქო საბჭოს თავმჯდომარის ლ. ნ. კურბინის მეთაურობით, ბულგარეთში — დონეცკის პროფკავშირთა სამრეწველო საოლქო საბჭოს თავმჯდომარის ვ. გ. არხიპოვის მეთაურობით, კუბის რესპუბლიკაში — საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრის, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის შ. ა. დოლაძის მეთაურობით.

ზანზიბარის რევოლუციური პროფკავშირების ფედერაციის მიწვევით პირველი მაისის დღესასწაულზე ზანზიბარში გაფრინდა საარტოვის პროფკავშირთა სამრეწველო საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. კისელიოვი.

საზღვარგარეთ გაემგზავრა საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია

მოსკოვი, 27 აპრილი. (საკდესის კორ.). ეროვნული საწარმოებისა და ტრესტების მოწვევით დღეს პირველი მაისის დღესასწაულში მონაწილეობისათვის მოსკოვიდან გაემგზავრა საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია: გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — კემეროვოს პროფკავშირთა სამრეწველო საოლქო საბჭოს თავმჯდომარის ლ. ნ. კურბინის მეთაურობით, ბულგარეთში — დონეცკის პროფკავშირთა სამრეწველო საოლქო საბჭოს თავმჯდომარის ვ. გ. არხიპოვის მეთაურობით, კუბის რესპუბლიკაში — საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრის, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის შ. ა. დოლაძის მეთაურობით.

ზანზიბარის რევოლუციური პროფკავშირების ფედერაციის მიწვევით პირველი მაისის დღესასწაულზე ზანზიბარში გაფრინდა საარტოვის პროფკავშირთა სამრეწველო საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. კისელიოვი.

ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ბაქო, (საკდესი). სრულდება შესანიშნავი მუშა-რევოლუციონერის, ბაქოს 26 კომისრის ერთ-ერთი წევრის ივანე ტიმოთეს-ძე ფიოლეტოვის დაბადების — 80 წელი. მთელი მისი ცხოვრება დაკავშირებული იყო ნავთობის ქალაქის მუშათა რევოლუციურ მოძრაობასთან. 1918 წელს, ბაქოს გმირული კომუნის ხანმოკლე თვეებში, ი. ტ. ფიოლეტოვი იყო ბაქოს სახკომსაბჭოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე. 1918 წლის სექტემბერში, სტეფანე შაუმიანთან, პ. ჯაფარიძესთან, მ. აზიზბეკოვთან და კომუნის სხვა კომისრებთან ერთად ინტერვენტებმა და თეთრ ესერებმა იგი დახვრიტეს იმერ კასპიის ქვიშრობში.

ფიოლეტოვის ხსოვნას მიეძღვნა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, რომელიც 25 აპრილს გაიმართა.

ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲘᲛᲞᲝᲖᲘᲣᲛᲘ

ბათუმი, 28 აპრილი. (საქდესი). აქ მუშაობა დაამთავრა ქირურგთა სრულიად საკავშირო სიმპოზიუმმა, რომელიც მიეძღვნა გულის სისხლძარღვების დაავადებათა ქირურგიის აქტუალურ საკითხებს. სიმპოზიუმი მოაწყვეს სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ა. ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტმა და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრამ.

მეცნიერთა ფორუმში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ა. ვიშნევსკიმ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნ. ჯავახიშვილმა, პროფესორებმა: ლ. კრიმსკიმ, ნ. კრაკოვსკიმ, მ. კომახიძემ და სხვებმა.

სიმპოზიუმის მონაწილეებმა მოისმინეს და განიხილეს 13 სამეცნიერო მოხსენება გულის სისხლძარღვების სისტემის ზოგიერთი დაავადების ქირურგიული მკურნალობის პრობლემებზე.

პროფესორმა ა. ვიშნევსკიმ შეაჯამა სიმპოზიუმის მუშაობა და მაღალი შეფასება მისცა წაკითხულ მოხსენებებს.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲨᲕᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲔᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ „ᲒᲛᲘᲠᲘ ᲓᲔᲓᲘᲡ“ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲤᲝᲚᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

მიენიჭოთ „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. ეზეკიანს აღავნეკ აბგარის ასულს — დიასახლისს, ახალქალაქის რაიონის სოფელი ჯიგრაშენი.
2. კილაძეს ელენე ზაქარიას ასულს — დიასახლისს, ნაშურის რაიონის სოფელი წაღელი.
3. მამედოვას ურზაგ ჰუსეინ ყიზის — დიასახლისს, ბოლნისის რაიონის სოფელი ტაშტიკულარი.
4. შენგელაიას ლუბა ონისიმეს ასულს — დიასახლისს, სამტრედიის რაიონი სოფელი ღანირი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი.
1964 წლის 15 აპრილი.

ᲗᲔᲡᲕᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲓᲐᲜ

ᲩᲔᲛᲘᲡ ᲥᲚᲘᲠᲜᲔᲑᲘᲡᲐ

სწრაფად და მაღალხარისხოვნად ვთესავთ სიმინდს. დაწინაურდნენ ის ბრიგადები, რომლებსაც ხ. შონია, ა. ბერიძე, ჯ. ჯოჯუა და ტ. ჯგუბურია ხელმძღვანელობენ.

კოლმეურნეთა პირობაა წელს 305 ჰექტარი ფართობის თვითთულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 40 ცენტნერი სიმინდი მარცვლად.

ე. გეთია,
გალის საწარმოო სამმართველოს სოფელ ოქუშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ᲗᲔᲡᲐᲕᲔᲑᲘ ᲖᲔᲛᲝᲛᲐᲠᲩᲮᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ

ზემო მაჩხანის (სოფლის რაიონი) კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ნ. მამაიაშვილი) გეგმით გათვალისწინებული 1.140 ჰექტარის ნაცვლად მზესუმზირა 1.190 ჰექტარზე დათესა. დიდი რაოდენობით დაითესა ავრეთვე ერთწლიანი ბალახები, საკვები ძირხვენები და ბაღჩა-ბოსტნეული.

მექანიზატორებმა გიორგი და გურამ ნატროშვილებმა, ფ. ქადაგიძემ პირველი ორახი ჰექტარი სიმინდი დათესეს.

ს. კობიაშვილი,
კოლმეურნეობის მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქტორი.

ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲒᲣᲚᲘ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ

—**ასსამოცდაათი** ჰექტარი ფართობის თვითთულ ჰექტარზე საშუალოდ 60 ცენტნერი სიმინდის მარცვალი! — ასეთია სამთავისელ კოლმეურნეთა ვალდებულება, რომლის განაღდებისათვის გაჩაღდა მუშაობა. დაჩქარებით მიმდინარეობს სიმინდის თესვა. ტრაქტორისტები პ. ქისიევი და ა. ხასიევი თესვის დღიურ დავალებებს გადამეტებით ანაღდებენ.

თ. ნიაური,
მცხეთის საწარმოო სამმართველოს სამთავისის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲩᲐᲦᲓᲐ

გულრიფშის საწარმოო სამმართველოს სოფელ ოქტომბრის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე შ. გიორგაძე) ჩქარი ტემპით მიმდინარეობს სიმინდის თესვა და თამბაქოს რგვა. სიმინდის თესვაში დაწინაურდა მემანდვრეობის მესამე ბრიგადა, რომელსაც ვ. არაქელიანი ხელმძღვანელობს. კოლმეურნეები დ. ბენიძე, შ. კობალიანი და სხვა თავდადებით იბრძვიან იმისათვის, რომ თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 40 ცენტნერი სიმინდი.

ივ. თოფურია,
სოფლკორი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 100 (12916) | ოთხშაბათი, 29 აპრილი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ!

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ!

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მთელი ძალები მოახმარეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის, პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.



ᲨᲔᲓᲬᲧᲓᲔᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲕᲜᲐ!

ჰავანა, 28 აპრილი. (საკდესი). ლათინური ამერიკის მშრომელთა პროფკავშირული ერთობის მუდმივმა კონგრესმა და ჩილის მშრომელთა ერთიანმა პროფკავშირულმა ცენტრმა მოწოდებით მიმართა სხვადასხვა საერთაშორისო პროფკავშირულ ორგანიზაციას, რომ პროტესტი განაცხადონ ლათინური ამერიკის ქვეყნებში მშრომელთა დევნის წინააღმდეგ, რასაც დიქტატორული რეჟიმები ახორციელებენ, იუწყება პრესნა ლატინას საააგენტოს კორესპონდენტი სანტიაგოდან.

ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘᲡ „ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ“ ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲨᲘ

ბუდაპეშტი, 28 აპრილი. (საკდესი). კოსმოსის საბჭოთა „შევარდნის“ ანდრიან ნიკოლაევის ჩამოსვლას უნგრეთის გაზეთები დღეს პირველ გვერდებს უთმობენ. „ნეფსაბადშაგი“, „ნეფსავა“ და „მადიარ ნემზეტი“ წერენ აეროდრომზე გულთბილი შეხვედრის შესახებ, წერენ, რომ ა. ნიკოლაევი ეცნობა უნგრეთის დედაქალაქს, რომ იგი ეწვია პარლამენტის შენობას, სადაც საბჭოთა სტუმარი მიიღეს ამხანაგებმა იშტვან დობიმ და იანოშ კადარმა.

დღეს ა. ნიკოლაევი უნგრეთის ახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის იანოშ პაპისა და სხვა უნგრელი მეგობრების თანხლებით ქალაქ კეჩკემეტში გაემგზავრა. კოსმონავტი დაათვალიერებს კეჩკემეტის საკონსერვო კომბინატს და მონაწილეობას მიიღებს ქალაქის მცხოვრებთა მიტინგში.

ᲡᲘᲫᲕᲘᲠᲔ ᲛᲐᲢᲣᲚᲝᲒᲡ

სტოკჰოლმი, 28 აპრილი. (საკდესი). დღეს აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ორი მაისიდან ძვირდება ზოგიერთი ხარისხის ხორცი, აგრეთვე რძე და ყველი. მყიდველები გააფრთხილეს, რომ ივნისში გაძვირდება პურის ზოგიერთი ნაწარმი.

კვების პროდუქტების გაძვირებას ასაბუთებენ იმით, რომ საჭირო „სოფლის მეურნეთა გაზრდილი ხარჯების კომპენსირება“.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐᲛ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲒᲔᲒᲛᲐ

მოსკოვი, 28 აპრილი. (საკდესის კორ.). ეროვნული საწარმოებისა და ტრესტების მოწვევით დღეს პირველი მაისის დღესასწაულში მონაწილეობისათვის მოსკოვიდან გაემგზავრა საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია: გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — კემეროვოს პროფკავშირთა სამრეწველო საოლქო საბჭოს თავმჯდომარის ლ. ნ. კურბინის მეთაურობით, ბულგარეთში — დონეცკის პროფკავშირთა სამრეწველო საოლქო საბჭოს თავმჯდომარის ვ. გ. არხიპოვის მეთაურობით, კუბის რესპუბლიკაში — საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრის, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის შ. ა. დოლაძის მეთაურობით.

ზანზიბარის რევოლუციური პროფკავშირების ფედერაციის მიწვევით პირველი მაისის დღესასწაულზე ზანზიბარში გაფრინდა საარტოვის პროფკავშირთა სამრეწველო საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. კისელიოვი.

ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲘᲛᲞᲝᲖᲘᲣᲛᲘ

ბათუმი, 28

ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მასობრიობისა და ქმედითობისათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, რომელიც სკკპ ისტორიულმა XXII ყრილობამ მიიღო, პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადწყვეტილებები კომუნიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის სხვა საკად და უსნშენელოვანეს ფაქტორებთან ერთად აუენებს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებასა და მასში მოსახლეობის ფართო ფენების მონაწილეობას. ეს მოითხოვს ყველა სახეობის მახობრივი სპორტის ყოველი ღონისძიებით წახალისებას.

გასული წლის ზაფხულში მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადა — უდიდესი შეჯიბრება მსოფლიო სპორტის ისტორიაში. მან ნაჩვენა მასობრიობის ზრდისა და ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლების ნიშნით.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის წინა პერიოდში კარგად იმუშავეს საქართველოს ფიზკულტურელმა ორგანიზაციებმა. რესპუბლიკის სპორტსმენებმა ყოველი ღონე იხმარეს, რათა საერთო გუნდურ ჩათვლაში გამოსულიყვნენ მეხუთე ადგილზე. მაგრამ არ შეიძლება დავჯერდეთ მიღწეულს — განუწყვეტლივ უნდა სრულყოთ ოსტატობა, მივაღწიოთ იმას, რომ ფიზკულტურასა და სპორტს რეგულარულად ეწეოდეს სულ უფრო მეტი ქალი-შვილი და ბებუკი. სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ აგრეთვე სპორტსმენთა იდეურ აღზრდას, ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას მივანიჭოთ მასების აღმზრდელის როლი.

საქართველოში ფიზკულტურული მოძრაობის ამ და სხვა საარსებო საკითხების განხილვას მიეძღვნა ფიზკულტურულ-კომკავშირული აქტივის რესპუბლიკური კრება, რომელიც მოწვეული იყო სახპორტო, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან ერთად, დიდ სამრეწველო საწარმოთა და სასწავლებელთა ხელმძღვანელების მონაწილეობით და რომელიც ამას წინათ გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

რესპუბლიკის ფიზკულტურულ-კომკავშირული აქტივის კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. გ. სპუტნიკმ. მოხსენება „სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაში საქართველოს სპორტული დელეგაციის მონაწილეობის შედეგები და საქართველოში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი“ გააკეთა საქართველოს სსრ სახპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ გ. ვ. სიხარულიძემ.

ა ზორციელებენ რა პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადწყვეტილებებს, თქვა გ. ვ. სიხარულიძემ, საბჭოთა კავშირის მშრომელებმა დიდი წარმატებანი მოიპოვეს კომუნისტური მშენებლობის ყველა დარგში.

როცა XVII ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილეებს მიმართა, ნიკიტა სერგისიძე ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ სპორტი ადამიანთა მხნეობის, ხალისიანობის, შრომისუნარიანობისა და დღეგრძელობის, ხასიათის, სიმტკიცისა და სიმამაცის ჩამოყალიბების წყაროა.

საქართველოს ფიზკულტურულმა და სასპორტო ორგანიზაციებმა პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით, პროფკავშირებისა და კომკავშირის, ფართო სპორტული საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობით დიდი მუშაობა გასწიეს იმისათვის, რომ კიდევ უფრო განეკითარებინათ მასობრივი ფიზკულტურა და სპორტი რესპუბლიკაში.

ამჟამად რესპუბლიკის ფიზკულტურის კოლექტივებში დაახლოებით 800 ათასი ქალ-ვაჟია და ბებუკია. საქართველოში ფიზკულტურასა და სპორტს ეწევი რესპუბლიკის მოსახლეობის 18,5 პროცენტი, ესე იგი ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში ფიზკულტურელთა რიცხვი ერთნახევარჯერ გაიზარდა. განუხრელად იზრდება ქალთა რიცხვიც, რომლებიც რეგულარულად ეწევიან ფიზკულტურასა და სპორტს.

სპორტის ასეთმა მასობრიობამ საშუალება მოგვცა მნიშვნელოვნად აგვემაღლებინა ჩვენი სპორტსმენების ოსტატობაც. მარტო 1963 წელს მოვამზადეთ 263 სპორტის ოსტატი, ეს კი 9-ჯერ მეტია, ვიდრე 1955 წელს — სსრ კავშირის ხალხთა I სპარტაკიადის წინა წელს. მნიშვნელოვანი გადაკარბებით შესრულდა თანრიგოსან სპორტსმენთა მომზადების გეგმებიც. გასულ წელს ქართველმა სპორტსმენებმა დაამყარეს 231 რესპუბლიკური, 3 საკავშირო და ერთი მსოფლიო რეკორდი.

შესამჩნევად გადიდდა საქართველოს წარმომადგენლთა ხვედრითი წონა სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შემადგენლობაში. მაგალითად, თუ 1959 წელს ჩვენი ქვეყნის ნაკრებ გუნდებში შედიოდა რესპუბლიკის 21 წარმომადგენელი, ამჟამად მათი რიცხვი 85-მდე გაიზარდა. ამ მხრივ საქართველოს წინ უსწრებენ მხოლოდ რუსეთის სფსრ და უკრაინა.

1963 წელს ქართველ სპორტსმენთა შორის იყო სსრ კავშირის 23 ჩემპიონი და პრეველობის 52 პრიზიორი. მათ მოიპოვეს 32 ოქროს, 16 ვერცხლისა და 27 ბრინჯაოს მედალი.

დიდი წარმატებანი მოიპოვეს საქართველოს სპორტსმენებმა და გუნდებმა სხვადასხვა სახეობის სპორტში საართაშორისო ასპარეზზე.

წლითწლობით ფართოვდება საქართველოს სასპორტო ნაგებობათა ქსელი, ძარტო გასულ წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა დაახლოებით 100 ფეხბურთის მოედანი, 500 კალათბურთის, ფრენბურთისა და სხვა სასპორტო მოედანი, რომლებიც აშენდა ძირითადად საზოგადოებრიობის ძალებით.

დიდი წარმატებანი მოიპოვეს ქართველმა სპორტსმენებმა სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე. მზხრდილთა ნაკრები გუნდების სპორტსმენებმა მოიპოვეს 8 ოქროსა, 11 ვერცხლისა და 24 ბრინჯაოს მედალი. ეს ერთიორად აღემატება იმას, რაც მოვიპოვეთ პირველ და მეორე სპარტაკიადებზე ერთად. სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ მოჭიდაველები ო. ეგაძე, რ. რურუა, ზ. ბერიშვილი, ვ. რუბაშვილი, მსროლელები ლ. ჟურული, ა. სტროევი, ელოსიპედისტი ო. ფხაკაძე და მოფარიკაე მ. ადეიშვილი.

ჩვენი სპორტსმენების მიერ მიღწეულ წარმატებებში დიდი დამსახურება აქვთ მათს აღმზრდელებსა და მწვრთნელებს მ. თიკანაძეს, ნ. გვახარიას, მ. კლდიაშვილს, ა. ხანგულიანს, ა. მეიფარიანს, გ. ჭილაიას, რ. ცაგარელს, ლ. კაპიტანოვს, ა. საფრონოვსა და ბევრ სხვას.

მაგრამ როცა ვეხებით ჩვენს საერთო წარმატებებს, არ უნდა დავივიწყოთ ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანიც. ეკრძოდ, კვლავინდებურად ვერ არის კარგად საქართველოს ქალაქებისა და რაიონების სპორტსმენთა წარმომადგენლობის საქმე რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში. მაგალითად, 435 კაციდან, რომლებიც რესპუბლიკის სახელით გამოიყენეს სპარტაკიადაზე, 355 კაცი იყო თბილისიდან, 22 აფხაზეთიდან, 13-13 — ფოთიდან და მცხეთიდან, 12 — აჭარიდან, 10 — ქუთაისიდან, 3 — რუსთავიდან, 2-2 — მახარაძიდან და ზუგდიდიდან, და თითო — ცხინვალიდან, გორიდან და ლესელიძიდან..

ჯერ კიდევ ჩამორჩენა ისეთ სახეობათა სპორტის განვითარების დონე, როგორიც არის ძძლეოსნობა, კალათბურთი, ელეოსპორტი (ზამტკეცილი), ტყვიისა და სასტენდო სროლა, ცხენოსნობა, კრივი, წყალში ხტომა, ძალოსნობა.

ფართოდ უნდა გავშალოთ ფიზკულტურული მუშაობა წარმოების მუშაკებს, სოფლის ახალგაზრდებს შორის. სწორედ აქედან მოდის დიდ სპორტში ახალი ძალები, აქ იზრდებიან ჯერჯერობით უცნობი ჩემპიონები და რეკორდსმენები. ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ყველაფერი რიგზე როდია ისეთ სფეროში, როგორიც არის მუშაობა იმისათვის, რომ მასობრივად ეწეოდნენ ფიზკულტურასა და სპორტს მუშები და სოფლის მშრომელები. ჯერ კიდევ არის საწარმოები და სასოფლო რაიონები, სადაც ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ესენი არიან ისეთი დიდი ობიექტები, როგორიცაა ფეხსაცმლის საწარმო გაერთიანება „ისანი“, თბილისის პურის კომბინატი, ქუთაისის ავეჯის კომბინატი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა. სპორტულ შეჯიბრებებში არ მონაწილეობენ თანასოფის, ბოლნისის, ახალქალაქის, ყაზბეგისა და ზოგიერთი სხვა რაიონის სპორტსმენები. აქ ცოტას ამზადებენ მშთ ნიშნოსნებსა და თანრიგოსან სპორტსმენებს.

უნდა შევაქოთ სპორტული მუშაობა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში. არსებითად, ეს სასწავლებლები უმაღლესი კვალიფიკაციის სპორტსმენთა სამშედელო. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ ოლიმპიური და ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდების წევრები. 28 სტუდენტი საბჭოთა კავშირის უძლიერესი სპორტსმენია. მაგრამ მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში მეცადინეობას ფიზიკურ აღზრდაში სპორტული სპეციალიზაციის მიხედვით როდი აგებენ, არდაევან სასწავლო პროგრამებს და სხვ.

რესპუბლიკის ბევრ სკოლაში კარგად არის დაყენებული ბოსფლელთა ფიზკულტურულ-სპორტული ნუდამბა.

მაღალკვალიფიციური ნორმი სპორტსმენების მომზადებაში დიდი როლი ეკუთვნით ათობით სპორტულ ახალგაზრდულ სკოლებს. საქართველოში ასეთი 73 სკოლაა. ამ სკოლებში სპორტულ ოსტატობას ხვეწს 28 ათასი კაცი. 1963 წელს ათობით სპორტულმა სკოლამ მოამზადა სპორტის 28 ოსტატი და 977 პირველი თანრიგის სპორტსმენი.

საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა საპატო ვალდებულება აიღეს — 1964 წლის ბოლოსათვის ფიზკულტურელთა რიცხვი ერთ მილიონამდე აიყვანონ, ე. ი. ერთი წლით ადრე შეასრულონ რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების შვიდწლიანი გეგმა.

ჩვენ უნდა მივაღწიოთ აგრეთვე იმას, რომ ყოველმხრივ ავამაღლოთ მუშაობის ხარისხი, სპორტსმენთა ოსტატობა. სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადაზე რესპუბლიკის დელეგაციამ უნდა გამოიყვანოს გუნდები, რომლებიც დაკომპლექტებული იქნებიან მხოლოდ სპორტის ოსტატებით. ამისათვის საჭირო იქნება ინტენსიურად იმუშაოს ყველა სპორტსმენმა, მათმა მწვრთნელებმა, ნებაყოფლობითმა სასპორტო საზოგადოებებმა და რესპუბლიკის ყველა კრლექტივმა. უკვე გახხორციელდა პირველი ღონისძიებანი ამ მხრივ და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოს სპორტსმენები კვლავაც ღირსეულად და მაღლა .ატარებენ ქართული სპორტის დროშას.

ფიზკულტურულ-კომკავშირული აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა ე. სალუქვაძემ. ორატორმა ილაპარაკა ქართველი სპორტსმენების მიღწევებზე, ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილთა წარმატებანი გამოსვლებზე სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე და აღნიშნა, რომ თბილისელ სპორტსმენებს დიდი წვლილი მიუძღვით ამ წარმატებებში. 7 ოქროს, 25 ვერცხლისა და 35 ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს თბილისელმა სპორტსმენებმა სპარტაკიადაზე. თბილისელები ამაყობენ იმით, რომ ამ ქალაქებს შორის, სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირებს შორის, რომლებიც დაკავშირებული არიან სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალ წითელი დროშებით, არის ათი შრომეთური ქალაქი. ეს უმაღლესი ჯილდო ბევრ რამეს ავალებს ჩვენს სპორტსმენებს და უწინარეს ყოვლისა იმას, რომ გადაჭრით გაიმარჯვესო შეშაობა ჩამორჩენილ სახეობათა სპორტის განვითარებისათვის.

ს ტალინელები მონაცემებით მუშაობა, მოსამსახურეთა და მოსწავლეთა რიცხვი, რომლებიც ჩაბმული არიან თბილისის ფიზკულტურული კოლექტივებისა და სპორტული სექციების მუშაობაში, 17 პროცენტს შეადგენს. კიდევ უფრო ცუდად დგას ქალებთან მუშაობის საკითხი. ქალაქის ფიზკულტურული კოლექტივებისა და სპორტული სექციების მუშაობაში ჩაბმულია ქალთა მხოლოდ 10-11 პროცენტი. თუ ამას მივუმატებთ, რომ დღეს სხვადასხვა სახეობის სპორტში ჩაბმულია თბილისელ კომკავშირელების 64 პროცენტი, სტუდენტების 73,5 პროცენტი, ბოსწავლეთა 54,2 პროცენტი, იმ დროს როცა ეს ციფრები 85-90 პროცენტზე ნაკლები არ უნდა იყოს, ნათელი გახდება ჯერ კიდევ რამდენი რამ უსდა გააკეთოს ქალაქის სპორტულმა საზოგადოებებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. ამს. სალუქვაძემ ილაპარაკა ქალაქის ახალი სპორტული ბაზების მშენებლობასა და არსებული ბაზების კეთილმოწყობის შესახებ, აღნიშნა რომ ზოგიერთი სამშენებლო ორგანიზაცია, საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ამ სერიოზულ საქმეს.

ორატორმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სპორტსმენთა იდეურ აღზრდასა და ოსტატობის ამაღლებას. ამ მხრივ ქალაქის სპორტულმა ორგანიზაციებმა ბოლო დროს ბევრი რამ გააკეთეს, მაგრამ ჯერ კიდევ არის ცალკეული აღმაფოთებელი ფაქტები იმისა, რომ ზოგიერთი სპორტსმენი უღირსად იქცევა. ამის მიზეზი პირველ რიგში უნდა ვეძიოთ სუნ იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობაში. დასასრულ ე. სალუქვაძემ აღუთქვა აქტივის მონაწილეებს, რომ თბილისის პარტიული ორგანიზაცია ყველაფერს გააკეთებს, რათა დაეხმაროს ქალაქის სპორტულ საზოგადოებებსა და ფიზკულტურულ კოლექტივებს ღირსეულად შეასრულონ მათ წინაშე დასახული ამოცანები.

რესპუბლიკაში ჭადრაკის განვითარების საარსებო ამოცანებზე ილაპარაკა მსოფლიო ჩემპიონმა ჯადრაკში, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა **ნ. გაფრინდაშვილმა.** მან აღნიშნა, რომ ჭადრაკი ახლა რესპუბლიკაში დიდად არის განვითარებული ქალთა შორისაც. ა. ჩაიკოვსკაია, ნ. ალექსანდრია, ა. ივანოვა, ე. კალაბაძე და მთელი რიგი სხვა ქართველი მოჭადრაკეები ცნობილი არიან საბჭოთა კავშირში. ეს იმის შედეგია, რომ ჩვენს წამყვან მოჭადრაკე ქალებს შესაძლებლობა აქვთ შეხვდნენ საბჭოთა და საზღვარგარეთელ უძლიერეს ოსტატებს. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მოჭადრაკე ქალთა ტრადიციული ტურნირი თბილისში. ეს ტურნირი კარგი სკოლა გახდა ოსტატობის ამაღლებისათვის. კარგი იქნებოდა ასეთი ტურნირები ვაჟებისათვისაც მოეწყობოდეს.

თავისი გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი ორატორმა მიუძღვნა მოჭადრაკეთა სპორტულ-საწვრთნელი ბაზის საკითხებს. თბილისის საჭადრაკო კლუბი სრულებითაც ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს, საჭიროა კლუბის გადაეთუნება, მეტი ადგილი დაეთმოს წვრთნას, სასწავლო და ამხანაგურ შეხვედრებს.

საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა **დ. ოსოსელიანმა** თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ საქართველოს პროფკავშირები დიდ შეშაობას აწარმოებენ იმისათვის, რომ სამრეწველო საწარმოებსა და მშენებლობებზე, დაწესებულებებს მუშაკები, უმაღლესი და საშუალო სასწავლებლის მოსწავლეები, მშრომელთა ყველა ფენა რეგულარულად ეწეოდნენ ფიზკულტურასა და სპორტს. გასულ წელს შეიქმნა 200-ზე მეტი ფიზიკური კულტურის ახალი კოლექტივი, პროფკავშირთა ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებში 290 ათასი წევრია. ბევრი სახეობის სპორტი პროფკავშირთა ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა სპორტსმენებს წამყვანი მდგომარეობა უჭირავთ რესპუბლიკაში. დიდ წარმატებად შეიძლება შეფასდეს ის, რომ ბევრ ადგილას ბავშვებსა და ახალგაზრდებს ეუფლებიან ფიზიკურ კულტურას. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ფიზიკურ კულტურა ხალხის საკუთრებაა. ამ საქმეში ბევრ ადგილას ეხმარებიან ადგილობრივ ხელისუფლებანი, ეკონომიური ორგანიზაციები, ბანკები, ფინანსური ორგანოები, ბევრ ადგილას ეხმარებიან ადგილობრივ ბიბლიოთეკ

საერთაშორისო
დეკენური ცხოვრების ინფორმაცია
ცხოვრება

ალჟირის ხალხი მიესალმება ალჟირისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობას

რუბი ცდილობს თავი დაიცვაროს

მეგობრობის გამოვლინება

ალჟირი, 27 აპრილი. (საკდესი). მთელი ალჟირის უურადღება მიპყრობილი აქვს მოსკოვს. ალჟირის ყველა გაზეთი პირველ გვერდზე დიდი სათაურებით დაწერილებით აუწყებს ალჟირის პრეზიდენტის ამმედ ბენ ბელასა და მისი თანმხლები პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეების ყოფნას საბჭოთა კავშირის დედაქალაქში.

„ალჟერ რეპიუბლიკენი", „აშ-შააბი", „პეპლი" აქვეყნებენ ფოტოსურათებს, რომლებზეც ალბეჭდილია ნ. ს. ხრუშჩოვისა და ბენ ბელას შეხვედრა მოსკოვის აეროდრომზე, აქვეყნებენ საბჭოთა კავშირის მთავრობის მეთაურისა და ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის პორტრეტებს. ყველა გაზეთმა დაბეჭდა იმ სიტყვების ტექსტები, რომლებითაც ერთმანეთს მიმართეს ნ. ს. ხრუშჩოვმა და აამედ ბენ ბელამ აეროდრომზე. პრესა და რადიო ალჟირის საზოგადოებრობას აცნობენ სასაპატო ალჟირელი სტუმრის საბჭოთა კავშირში ყოფნის პროგრამას. ალჟირის რადიო, სანამ გაზეთებში დაიბეჭდებოდეს ცნობები, უკანასკნელი ამბების ყოველ გამოშვებაში გადასცემს მოსკოვიდან მიღებულ ინფორმაციას. გაზეთები და რადიო საზგასმით აღნიშნავენ ალჟირის დელეგაციის გულითად და გულთბილ შეხვედრას სსრ კავშირის დედაქალაქში.

დღეს ჩვენ დიდი სიხარულით აღვიქვამთ ჩვენი პრეზიდენტის ვიზიტს საბჭოთა კავშირში, წერს გაზეთი „ან-ნასრი". რომელიც ქალაქ კონსტანტინაში გამოდის. ალჟირ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა წარმოიშვა გარკვეულ ისტორიულ პირობებში და განმტკიცდა ერთობლივი ბრძოლით საერთო მტრის — იმპერიალიზმის, კაპიტალიზმისა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

ალჟირელი ხალხი, წერს შემდეგ გაზეთი, პარტიის პროგრამის შესაბამისად, რომელიც მიიღო ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პირველმა კონფერენციამ, განუწყვეტლივ იშრომებს, რათა კიდევ უფრო განამტკიცოს მეგობრობა მოძმე საბჭოთა ხალხთან.

ეჭვი არ არის, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, რომ ალჟირის ხალხისა და საბჭოთა კავშირის ხალხის მეგობრობა, რომლებიც საერთო იდეალისათვის იბრძვიან, ჩვენი საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედია. ამმედ ბენ ბელას ვიზიტი საბჭოთა კავშირში ამ პოლიტიკის მკაფიო დადასტურებაა.

ჩვენი დემოკრატიული სახალხო რესპუბლიკა დიდად აფასებს იმ ფაქტს, რომ საბჭოთა ხალხის მეგობართა შორის არის და საბჭოთა მოქალაქეების ძმური სიმპათიით სარგებლობს.

„დარწმუნებული ვართ, — წერს დასასრულ გაზეთი, — რომ საბჭოთა კავშირისა და ალჟირის რესპუბლიკის ძმური მეგობრობა და თანამშრომლობა ემსახურება მშვიდობის ინტერესებს და ისტორიულ წვლილს შეიტანს სოციალიზმის ტრიუმფის საქმეში.

ახალი რესპუბლიკის პრეზიდენტი

დარ-ეს-სალამი, 27 აპრილი. (საკდესი). დღეს საღამოს აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ტანგანიკისა და ზანზიბარის გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა ჯულიუს ნიერერე. რესპუბლიკის პირველ ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა ამეიდ ამანი კარუმე.

ფესტივალი კანში

კანი, 27 აპრილი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა სატელევიზიო ფილმების მეშვიდე საერთაშორისო ფესტივალი. 22 ქვეყანამ, მათ შორის საბჭოთა კავშირმა, ჩეხოსლოვაკიამ, პოლონეთმა, საფრანგეთმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა, კონკურსზე წარმოადგინა 32 სატელევიზიო დოკუმენტური და მხატვრული ფილმი.

საუკეთესო ფილმებს მიენიჭება ფესტივალის ორი მთავარი პრიზი: ევროვიზიის დიდი პრიზი საუკეთესო მხატვრული ფილმისათვის და ევროვიზიის დიდი პრიზი საუკეთესო დოკუმენტური ფილმისათვის. ეიური ფესტივალის სპეციალური პრიზით აღნიშნავს აგრეთვე ყველაზე ორიგინალურ ნამუშევარს სატელევიზიო ფილმების დარგში.

საბჭოთა კავშირმა ფესტივალის კონკურსზე წარმოადგინა რეჟისორ ა. არსენტარსოვის დოკუმენტური ფილმი „ბასტიონი ნუკაზე", რომელიც ეძღვნება ლენინგრადის გმირულ დაცვას დიდი სამამულო ომის პერიოდში.

ჯონსონის ინტერვიუ

ბონი, 28 აპრილი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის ეურნალ „კვიკში" გამოქვეყნებულია „ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯონსონის ინტერვიუ, რომელიც მან ამ ეურნალის ვაშინგტონელ კორესპონდენტს მისცა. ამ ინტერვიუში პრეზიდენტმა თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და სსრ კავშირი კვლავაც უნდა ეცადონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

„საბჭოთა კავშირთან ჩვენი ურთიერთობის შესახებ, — თქვა ჯონსონმა, — არაერთხელ მქონია აზრთა გაზიარება ხრუშჩოვთან და ორივენ ვეაიაბრე მიქოიანს. ჩვენ კვლავაც ვცდით მშვიდობის მისაღწევად ყველა საშუალებას... თუ საქმე მშვიდობას ეხება, ჩვენ რუსებს შუა გზაზე შეეხვდებით, და თუ საჭირო იქნება, უფრო შორსაც წავალთ. როცა კანცლერი ერჰარდი აქ იყო, მე ეუთხარი: წარმოიდგინეთ თქვენი თავი რუსების მდგომარეობაში, ეცადეთ გაუგოთ მათს გრძნობებს. მათ აშფოთებენ გერმანელები. და ეს გასაგებია".

ჯონსონმა თქვა, რომ მან ერჰარდს სთხოვა ყოველივე იღონოს, რათა გაუმჯობესოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

გონივრული მიდგომა

ანკარა, 27 აპრილი. (საკდესი). უკანასკნელ ხანს თურქეთის პრესის ფურცლებზე სულ უფრო ხშირად იბეჭდება გამონათქვამები, რომლებშიც გაკრიტიკებულია თურქეთის საგარეო პოლიტიკა, და გამოთქმულია სურვილი განვითარდეს და განმტკიცდეს კეთილმეზობლობის ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

გაზეთმა „ბაირამმა", რომელიც ყურადნ ბაირამის დღესასწაულის დღეებში გამოდის, დაბეჭდა ცნობილი ეურნალისტის მეჰმედ ქემალის სტატია, რომელშიც იგი სინანულით წერს, რომ თურქეთი გადაიქცა „ამერიკის მატარებლის ერთ-ერთ ვაგონად". ამერიკელებს, შენიშნავს მ. ქემალი, ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული უფლებები და პრივილეგიები აქვთ. ისინი მეტად თავისებურად იყენებენ ამას: ხოცავენ და ასახჩრობენ თურქ ბავშვებს და თავიანთი ავტომობილებით მუსლტენ თურქ მოქალაქეებს.

ანკარა, 27 აპრილი. (საკდესი). „ბაირამმა" რით არის განპირობებული ეს განსაკუთრებული უფლებანი? იქნებ გულუხვი ფინანსური დახმარებით, ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობით თურქეთის სამრეწველო განვითარებაში და მისი ეკონომიკის ადამავლობაში? არაფერი ამის მსგავსი არ არის. იგივე გაზეთმა „ბაირამმა" აღნიშნა, რომ ამერიკის დახმარება საშუალებას აძლევს თურქეთს „ფეხზე იდგეს მხოლოდ უკავარჯნების დახმარებით". ამავე დროს მას იყენებენ როგორც პოლიტიკური ზეგავლენის საშუალებას. თურქეთი მხოლოდ მოიგებს, შენიშნავს გაზეთი, თუ არ გაუწევენ ასეთ დახმარებას.

მეჭლისის დეპუტატი ორხან აპაიდინი სტატიაში, რომელიც „ბაირამმა" დაბეჭდა, სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ჯერ კიდევ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, თითქოს თურქეთის ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა მის დასავლეთ მოკავშირეებთან უველა უბედურების წამალი იყოს. უფრო მეტიც, ეს ადამიანები ამტკიცებენ, რომ თურქეთის ახლანდელი ურთიერთობა დასავლეთთან შეთავსებულია იმასთან, რომ კეთილი ურთიერთობა ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირთან.

აპაიდინს, რომელიც ასეთ შეხედულებებს აკრიტიკებს, მიაჩნია, რომ „კარგი მეგობრული ურთიერთობის აღდგენა საბჭოთა კავშირთან არ ეწინააღმდეგება თურქეთის საგარეო პოლიტიკის საფუძვლებს".

კიცლერელი გალათეგი სამხეკავრს წინაშე

ბონი, 27 აპრილი. (საკდესი). დღეს მაინის ფრანკფურტში დაიწყო სასამართლო პროცესი სს-ის ყოფილი ობერშტურმბანფიურერის გერმან კრუმეისა და სს-ის ჰაუპტშტურმფიურერის ოტო ხუნშეს საქმის გამო. ჯალათ აიხმანთან ერთად, რომელიც სიკვდილით დაისაჯა ისრაელის სასამართლოს განაჩენით, ისინი ხელმძღვანელობდნენ 400 ათასზე მეტი უნგრელი ებრაელის ჩაყვანას ოსვენციმის სიკვდილის ბანაკში 1944 წლის მარტში.

იგივე კრუმეი და ხუნშე ხელმძღვანელობდნენ შემდეგ ამ ადამიანთა მასობრივ მოსპობას ბანაკის გაზის კამერებში.

ეტნის ამოფრქვევა

ლონდონი, 28 აპრილი. (საკდესი). მძლავრმა აფეთქებამ შეაზანზარა გუშინ საღამოს იტალიის ეულკანი ეტნა სიცილიის კუნძულზე. ეულკანმა, იუწყება რეიტერის სააგენტო, ამოაფრქვია გავარვარებული ნიაღვარი, აგრეთვე დიდძალი ფერფლი. სოფელ ეულერიში, რომელიც ეტნის ფერდობზე მდებარეობს, ფერფლის ფენა 2,5 სანტიმეტრს აღემატება.

დამოუკიდებლობა — წელს

ლონდონი, 27 აპრილი. (საკდესი). ჩრდილოეთ როდეზიის მთავარ ქალაქ ლუსაკაში გაიმართა დიდი მიტინგი, რომლის მონაწილეებმა მოიწოდეს ჩრდილოეთ როდეზიის მთავრობის განზრახვა, რომელიც ცდილობს მიაღწიოს იმას, რომ ინგლისმა ჩრდილოეთ როდეზიას რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე მიმეცეს ერი წლის 23 ოქტომბერს მიანიჭოს დამოუკიდებლობა.

როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ლუსაკადან იუწყება, ჩრდილოეთ როდეზიის პრემიერ-მინისტრმა, კენეტ კაუნდამ განაცხადა, რომ 5 მაისს ლონდონში კონფერენცია იხსნება ჩრდილოეთ როდეზიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების საკითხზე. ჩრდილოეთ როდეზიის დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში ხუთი კაცია, სათავეში ჰაუდგება კენეტ კაუნდა.

ამერიკის შეერთებული შტატების გამოსდილებიდან

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდების ზოგიერთი საკითხის შესახებ

როსუელ ჰარსტი

საბჭოთა სპეციალისტებმა მოხოვეს გამომეფოქვა ახარი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების გზების შესახებ. ხალისით გასრულებ ამ თხოვნას. ეეცდები მოკლედ გიამბოთ იმ ახალსა და საინტერესოზე, რაც ამეაიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში მეცხოველეობის დარგშია.

„მეცხოველეობაში ინტენსიფიკაცია წარმოუდგენელია, თუ არ მივიღებთ საკვები კულტურების და განსაკუთრებით სიმინდისა და შაქრის ჭარხლის უხვ მოსავალს", — თქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის სიტყვაში სკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1964 წლის 14 თებერვალს. სავსებით ვიზიარებ ამ აზრს. მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდებაში, ხორცის, კვერცხისა და რძის დიდი რაოდენობით მიღებაში პირველი ნაბიჯები შეიძენა გადადგას უწინარეს ყოვლისა საკვების წარმოების გადიდების გზით.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საბჭოთა კავშირი უახლოეს მომავალში მარილად მიიღებს გაცილებით მეტ საკვებს და, მაშასადამე, წარმებები განახორციელებს თავის გეგმებს მეცხოველეობის დარგში.

რას ემყარება ჩემი რწმენა? ახლა საბჭოთა კავშირში არის სიმინდის ჰიბრიდული თესლი, ძირითადი კულტურების მოკლა-მოყავანაზე შრომის დანახარჯი შემცირებულია მექანიზაციის საშუალებით. შენდება დიდი ქიმიური ქარხნები, რომელთა მეოხებითაც გადიდდება წარმოება არა მარტო სასუქებისა, არამედ აგრეთვე ინსექტიციდებისა, ჰერბიციდებისა და სხვა ქიმიური საშუალებებისა, ისევითა, როგორიც ვიტამინები და საკვები დანამატებია. მოსავლის ზრდასთან ერთად (იგი ან აუცილებლად გადიდდება, რადგან სოფლის მეურნეობა დიდი რაოდენობით მიიღებს ქიმიკატებს) უნდა გაიზარდოს მაღალხარისხოვანი საკვები პროტეინების წარმოებაც.

რამდენადაც საბჭოთა კავშირი იყენებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების იმავე საშუალებებს, რომლებითაც შეერთებული შტატები სარგებლობდნენ, სასარგებლოა მოკლედ შეეეხოთ ამ საშუალებებს.

სიმინდის მოსავლიანობის გადიდების **პირველი და ძირითადი** საშუალება იყო ჰიბრიდული თესლის გამოყენება; ამ საშუალებას საკმაოდ სრულად იყენებენ ორივე ქვეყანაში.

მეორე საშუალებაა მექანიზაციის დონის ამაღლება. ეს შესაძლებელს ხდის სწორ აგროტექნიკურ ვადებში და შრომის ნაკლები დანახარჯით ვაუარროოთ თესვა, შემჭიდროებულ ვადებში ავიღოთ მოსავალი. ორივე ქვეყანამ სწრაფად მიაღწია პროგრესს, ორივე ქვეყანას შეუძლია იაროს და კიდეეაც უნდა იაროს შემდგომ უფრო სწრაფად.

მესამე საშუალება იქნება მოსავლის მკვეთრი გადიდება, რასაც მიაღწიეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ქიმიის საშუალებით, ესე იგი არა მარტო სასუქების დანერგვის (რომლებმაც ძირითადი როლი შეასრულეს), არამედ აგრეთვე ინსექტიციდებისა და ჰერბიციდების დანერგვის გზით. ეს საშუალებანი გამოყენებული იქნება სსრ კავშირშიც უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში.

საჭირო აგრეთვე იმ ცვლილებათა შესწავლა, რომლებიც შეერთებულ შტატებში მოხდა მას შემდეგ, რაც იქ იწყებს უფრო მაღალხარისხოვანი სასუქების წარმოება. ამ სტატიაში მხოლოდ ყველაზე ზოგად საკითხებს შეეხებით.

უახლოეს დროში საბჭოთა კავშირში დიდი რაოდენობით იქნება წარმოებული ძირითად სახეობათა საკვები: დაფქული სიმინდი, შერია, ქერი და სორგოს მარცვალი.

ყველაზე ეფექტიანია მარცვლის ჭმეკი შინაური ფრინველისათვის, რომელსაც სახორცედ (რასაც ჩვენში, შეერთებულ შტატებში „ბროილერებს" უწოდებენ) და კვერცხის მისაღებად ზრდიან. თქვენ ძალიან კარგი დანადგარები გაქვთ ბროილერებისა და მოქცეულების გასაზრდელად.

თქვენში მთელ რიგ მეურნეობებში შესანიშნავად მოწყობილია იხვის გაზრდა — მომრავლება. შეიძლება გავრცელდეს გამოცდილება ერთი მსხვილი საწარმოსი, რომელიც იხვებს ზრდის და რომელიც შარშან კიევის ოლქში ვნახე.

შეერთებულ შტატებში ძალიან ფართოდ და ეფექტიანად მისდევენ სხვა სახეობის შინაური ფრინველის — ინდაურის მომრავლებას. ინდაური ისევე კარგად ანაზღაურებს საკვებს და იძლევა ადამიანისათვის საჭირო ისეთსავე ჩინებულ, ცალით მდიდარ ხორცს, როგორსაც ქათამი.

კარგი ხორცის მომცემ შემდგომი სახის სასოფლო-სამეურნეო ცხოველს ღორი წარმოადგენს. მართალია, იგი უფრო ცუდად ანაზღაურებს საკვებს, ვიდრე შინაური ფრინველი. უხეშად რომ ვთქვათ, ბროილერის ერთი კილოგრამი ცოცხალი წონის საწარმოებლად საჭიროა 2,2 კილოგრამი საკვები, ღორის ერთი კილოგრამი წონამატების მისაღებად იხარჯება 3,5 კილოგრამი საკვები. ამავე დროს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ერთი კილოგრამი წონამატების მისაღებად საჭიროა 6 კილოგრამი საკვები.

მაგრამ ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი: შინაური ფრინველისა და ღორის საკვებად საჭიროა მარცვალი, ხოლო მსხვილფეხა რქიან პირუტყვს შეიძლება ვაძლიოთ საკვებად მცენარის სხვა ნაწილებიც, რომლებიც უჯრედოვანას შეიცავენ. შინაური ფრინველისა და ღორის საკვებში მეტი უნდა იყოს პროტეინები, და ისინი გარკვეული ტიპისა უნდა იყოს.

* * *

ბროილერების, ესე იგი იმ წიწილების გაზრდა — მომრავლებისას, რომლებსაც კლავენ, როცა ისინი 9 კვირისა არიან და 1,2 კილოგრამს იწონიან, საკვები ძალიან გულდასმით უნდა შემზადდეს. დაახლოებით პირველი ექვსი კვირის განმავლობაში საკვები უნდა შეიცავდეს 20 პროცენტ პროტეინსა და 80 პროცენტ ნახშირწყლებს. პროტეინი ძირითადად მცენარეული წარმოშობისა უნდა იყოს, მაგალითად, პროტეინი, რომელსაც შეიცავს სოიის შროტი, ან, რაც უფრო შეეფერება ამერიკის კავშირის პირობებს, მზესუმზირას თესლის შროტი.

ეს თანანაწარმი პროდუქტები უზრუნველყოფენ მეტ წილ პროტეინს, მაგრამ საკვებს შეიძლება გარკვეული რაოდენობით დაემატოს აგრეთვე თევზის ფქვილი ან სასაკოოების ბრალი ნარჩენები. გარდა ამისა, საკვებს უმატებენ ვიტამინებს და მიკროელემენტებს.

მე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მეცხოველეობაში პროგრესი წარმოუდგენელია, თუ მკვეთრად არ გაუმჯობესდა საკვების ხარისხი. სწორედ იმიტომ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კომბინირებული საკვების მრეწველობამ აითვისა საუკეთესო ხარისხის საკვების წარმოება, ჩვენ შევძელით ბევრად შეგეგმცირებინა საკვების დანახარჯი კილოგრამ ხორცზე.

ოდესაც შეერთებულ შტატებში ბროილერის წონის ეროეულის საწარმოებლად იხარჯებოდა 4 ან 4.5 ერთეული საკვები. ამეამად საჭიროა 2,2 ერთეული საკვები. რით არის ეს მიღწეული?

მეტ წილი მეცნიერების აზრით, ეს მიღწევა სანახევროდ უნდა მიეწეროს ჰიბრიდიზაციის გამოყენებას, მეორე ნახევარი კი მოდის ულუფების უკეთ შედგენასა და საკვების უკეთ შემზადებაზე.

თხუთმეტი წლის წინათ ბროილერის წონამატების ერთეულზე იხარჯებოდა 3,5 ერთეული საკვები, 10 წლის წინათ — 3 ერთეული, 5 წლის წინათ—2,5 ერთეული, ახლა კი საჭიროა 2,2 ერთეული საკვები.

ბროილერის მრეწველობის ბევრი მუშაკი ალბეჭდნებულია, რომ ახლა ომამავალში ბროილერის წონამატების ერთეულის წარმოებაზე დაიხარჯება ორი ან უფრო ნაკლები ერთეული საკვები. ამასთან ძნელია ვნახოთ უფრო გემრიელი საჭმელი, ვიდრე 9 კვირის ბროილერია! დაახლოებით ასევეთვე წარმატებებია მიღწეული მოქცეულობა და ინდაურის კვებაში.

ღორის გაზრდა-მომრავლების დროს საკვების ანაზღაურება მაღალად დიდი არ არის, მაგრამ უკანასკნელ წლებში იგი მაინც მნიშვნელოვნად გადიდდა.

მაგრამ შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ შეიძლება მოვიყვანოთ სოია, მიეიღოთ მისგან სოიის ზეთი, ზეთიდან მარგარინი — კარაქის ჩინებული შემცვლელი და ამასთან ერთიორად უფრო იაფი. და ახლა წელიწადში ვხარობთ 10 გირვანქა კარაქს, ამასთან მარგარინის უფრო მეტი რაოდენობით მოხმარების ტენდენცია განუწყვეტლივ იზრდება. ალბათ, საბოლოო ანგარიშში ჩვენ ნაკლებ რძეს გამოვიყენებთ კარაქის საწარმოებლად, მაშინ როცა ახალი რძის მოხმარების, აგრეთვე ყველისა და ნაყინის წარმოებაში მისი გამოყენების პროცენტი მნიშვნელოვნად გაიზოდება.

სოიის წარმოების გადიდების ძირითადი პირობა იყო სოიის ზეთის გამოყენება მარგარინის მისაღებად. რამაც თავის მხრივ გამოიწვია ძლიერი გადიდება სოიის შროტის წარმოებისა, რომელიც პროტეინის შემცველი ჩინებული საკვებია ფრინველისა და ღორისათვის.

ჩემი აზრი ისეთია, რომ საბჭოთა კავშირმა რაც უფიქრია მალე უნდა გაორკეცოს მზესუმზირას წარმოება. მზესუმზირას ზეთი შეიძლება გამოყენებულ იქნას მარგარინის საწარმოებლად, რომელსაც შეეძლება შეცვალოს კარაქის დიდი რაოდენობა, ხოლო მზესუმზირას თესლის შროტი ცხობილია როგორც ერთ-ერთი საუკეთესო პროტეინიანი საკვები როგორც ფრინველის, ისე ღორისათვის.

მერძეული პირუტყვის გაზრდა-მომრავლება მაღალი მექანიზაციის დროსაც კი შრომის დიდ დანახარჯს მოითხოვს. შრომის ასეთი დიდი დანახარჯი გამორიცხული იქნება იმ შემთხვევაში, თუ მერძეულ პირუტყვს ეზრდით რძის მაღალად, რომელსაც ეხმარობთ ახალს და ვიყენებთ ყველისა და ნაყინის დასამზადებლად.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, მერძეული პირუტყვის სულადობა შეეერთებულ შტატებში რამდენადმე მცირდება. კარაქი ვერ უძლებს მარგარინთან კონკურენციას.

მაგალითად, ყველაზე პოპულარული სორტის ერთი გირვანქა მარგარინის ფასი კუნ რეიდსის მაღაზიებში (აიოვის შტატი) 22 ცენტია, კარაქი კი გირვანქა 72 ცენტი ღირს. ძალიან ცოტა ვინმეს

ამერიკის შეერთებული შტატების გამოსდილებიდან

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდების ზოგიერთი საკითხის შესახებ

როსუელ ჰარსტი

შეუძლია გაარჩიოს კარაქი მარგარინისგან, მეცხიერები კი ამტკიცებენ, რომ თავიანთი მაჩვენებლებით ისინი თანაბარფასოვანი არიან.

ამრიგად, საკვებით მოსალოდნელია, რომ საბჭოთა კავშირს შეუძლია ძირფესვნელოვნად გაადიდოს მზესუმზირას წარმოება, აწარმოოს მეტი ძაღვარინი და მიიღოს გაცილებით მეტი მზესუმზირას შროტი ღორისა და შიბაური ფრინველის სულადობის გასაღიდებლად. შეეეთებულ შტატებში პირუტყვის უველაზე გავრცელებული სახორაკე ჯიშებია თეთრთავა გეოეფორდი, აბეოდენ-ანგუსი და შორტპორნი. სამივე ეს ჯიში ინგლისიდან არის ჩამოყვანილი.

ხბოები დედასთან რჩებიან 7 თვის განმავლობაში. როგორც წესი, მოგება ხდება აპრილში (მას შემდეგ, რაც სიცივეები შეწყდება), და ძროხისაგან ხბორის ასლეტა ხდება დაახლოებით 1 წლიმბერს. ამ დროს ხბო 180-200 კილოგრამს იწონის. ძროხა ჯერ კიდევ ხბოს ჭმევის პერიოდში მაკდება იმ გარეუდით, რომ ხბო შემდგომ წლის აპრილში მოიგოს.

ძროხა მაკეა თუ არა, ამას დაახლოებით 1 ნიუარს ამოწმებენ, და თუ აღმოჩნდება, რომ ძროხა ბერწია, მას ორი თვის განმავლობაში ასუქებენ და შემდეგ კლავენ. თუ ხბო იღუპება ძოგების დროს, ან შემთხვევაშიც ძროხას დაახლოებით ორ თვეს ასუქებენ და კლავენ.

ძროხები თითქმის არასოდეს არა ჰყავთ ბოსელში. ეს შემოღებულია აიოვაში, ვაიომინგში, მონტანსა და ჩრდილოეთ დაკოტაში, სადაც ზამთრის კლიმატური პირობები საბჭოთა კავშირის ბევრი რაიონის პირობებს წაგავს.

ეეერთიანულ შტატებში ძროხები არათუ ბოსელში არა ჰყავთ მათ თავთქმის არ აკმევენ მარცვალს! ამ ძროხებს აძლევენ ნახშირწყლებს ეჯრედოვანას სახით, რომელსაც ქათამი, ინდაური, იხვი ან ღორი ვერა ჭამს. ისინი ჭამენ სიმინდის ნაჭუჩს, სიმინდის ღეროს, სამარცვლე სორგოს ღეროს, თივასა და ბალახს.

ჩემს კუნ რეიდსის ფერმაში არაერთხელ მიჩვენებია საბჭოთა კავშირიდან ჩამოსული დელეგაციებისათვის ძროხები, რომლებსაც გარეთ ვინახავთ, სრულებით არ ვაძლევთ მარცვალს და ზამთარში ვკვებავთ სიმინდის დაქუცმაცებული ნაჭუჩითა და ღეროთი. ამასთან ვაძლევთ პროტეინს, რომელიც მზადდება საკვებ ბადაგში 10 პროცენტი შაოდოვანას გახსნით.

ეოთ-ერთი სახეობის ქიმიკატი, რომელსაც თქვენი ქვეყანა მომავალში დიდი რაოდენობით აწარმოებს, არის შარდოვანა, რომელიც 45 პროცენტ აზოტს შეიცავს.

ცილაში აზოტის საშუალო შემცველობა 16 პროცენტია. რომელიმე ნივთიერებაში პროტეინის შემცველობა რომ გავსაზღვროთ, საჭიროა გამოვარკვიოთ აზოტის შემცველობა და მიღებული ციფრი გავამრავლოთ 6,25 კოეფიციენტზე. ასეთი გაანგარიშებისას 45-პროცენტიანი შარდოვანა 281 პროცენტ პროტეინის ეკვივალენტურია. საკვები ბადაგი შეიცავს 2 პროცენტ პროტეინს. და თუ 10-პროცენტიან შარდოვანას 90-პროცენტიან ბადაგში გახსნით, მიიღებთ უფრო კონცენტრირებულ ბადაგს, რომელიც 30 პროცენტ პროტეინს შეიცავს. ჩვენს ფერმაში უკვე მთავალი წელია ვეუყენებთ ასეთ ნარევს, რათა მთელი პირუტყვი უზრუნველეყოთ პროტეინიანი დანამატით.

რამდენადაც საბჭოთა კავშირი შაქრისა და შაქრის ჭარხლის აწარმოებს, თქვენ დიდი რაოდენობით იღებთ ჭარხლის ბადაგს, რომლის დახმარებითაც შეგიძლიათ პროტეინით უზრუნველყოთ თქვენი მერძეული და სახოიერ პირუტყვი, თუ შიგ შარდოვანას დაუმატებთ.

წარსულში თქვენ ბევრ ბადაგს ხარკვდით ტექნიკური სპირტის საწარმოებლად, მაგრამ უკანასკნელ წლებში ტექნიკურ სპირტს სულ უფრო ხშირად ნავთობისაგან ამზადებენ, რაც შესაძლებელს გახდის ბადაგის გამოყენებას პირუტყვის საკვებად.

ხბოების ასხლეტას დაახლოებით თვის ასაკში ახდენენ და სუქებაზე აყენებენ. აქმეენ სიინიის სილოსს, რომელიც დამზადებულია მთელი მცენარეებისაგან და დამატებული აქვს ბადაგი და შარდოვანა პროტეინით უზრუნველსაყოფად, და მარცვალს დღეში მათი ცოცხალი წონის 0,5 — 1 პროცენტის ოდენობით (სიმინდის მარცვალს ან დაქუცმაცებულ შვრიას, ანდა სორგოს მარცვალს). ასეთი ულუფის დროს წონამატება შეადგენს დღეში 1 კილოგრამს სულზე, და მოზრდილი საკლავ წონას — 450-500 კილოგრამს — დაახლოებით 18 თვის ასაკში აღწევენ.

პირუტყვის სახორციელ გაზრდაზე შეეერთებულ შტატებში შრომა მინიმალური რაოდენობით ხარჯება. პირუტყვი უურადღებას მოითხოვს მოგების პერიოდში, ვინაიდან ხბოს მოგების დროს ძროხას ზოგჯერ დახმარების აღმოჩენა სჭირდება. მაგრამ ეს, როგორც წესი, საჭიროა მხოლოდ პირველმოგებისას. მოგებიდან ასხლეტამდე საჭიროა შრომის მცირე დანახარჯები, ხოლო ასხლეტის შემდეგ კიდევ უფრო ნაკლები.

როგორც წესი, სილოსს ვდებთ ტრანშეებში, რომლებიც ძვირი როდი გვიჯდება. ვთხრით 9-10 მეტრის სიგანის, 100 მეტრი სიგრძისა და 3-4 მეტრის სიღრმის ტრანშეებს ბორკვის ფერდობზე, ტრანშეის ფსკერს ვაცემენტებთ. სილოსის ასაღებად ვიყენებთ ერთმწკრივიან ან ორმწკრივიან სილოსსაჭრელებს და ასაყრელ-ამტანებელ-ატვირთმიან ურიკებს.

საბჭოთა სოფლის მეურნეობის განვითარებას თვალყურს ვადევნებ 1955 წლის შემოდგომიდან, როცა პირველად ჩამოვედი საბჭოთა კავშირში. მე მიმაჩნია, რომ თქვენ ძალიან დიდ წარმატებებს მიაღწიეთ, მაგრამ ვფიქრობ, რომ თქვენი წარმატებანი შემდეგ კიდევ უფრო სწრაფად განვითარდება.

ამჟამად თქვენში თითქმის მთელი სიმინდი ჰიბრიდულია, და მალე სასილოსე სიმინდის მოსაყავნადაც კი 100 პროცენტით გამოიყენებთ ჰიბრიდულ თესლს. თქვენ მნიშვნელოვნად აამაღლეთ მექანიზაციის დონე, მაგრამ მექანიზაცია უსასრულო პრობლემაა, და თქვენმა ქვეყანამ უნდა განაგრძოს სოფლის მეურნეობის ჩვენი უფრო სრული მექანიზაციის შესწავლა.

თქვენ მინერალური სასუქების ქარხნებს გაცილებით უფრო სწრაფად აშენებთ, ვიდრე ჩვენ მათ ორმოცდაათიან წლებში ვაშენებდით.

მე მგონია, რომ თქვენ მნიშვნელოვნად უნდა გაადიდოთ მზესუმზირას წარმოება, რათა შეამციროთ კარაქის წარმოება და გააფართოოთ მარგარინის მოხმარება. ეს შესაძლებლობას მოგცემთ უფრო მეტად გამოიყენოთ მზესუმზირას თესლის შროტი იმისათვის, რომ პროტეინით უზრუნველყოთ თქვენი ფრინველი და ღორები. ფრინველსა და ღორს შარდოვანას მოხმარება არ შეუძლიათ! მხოლოდ მცოხნელ ცხოველებს — მსხვილფეხა რქიან პირუტყვსა და ცხვარს — შეიძლება მიეცეთ შარდოვანა ცილის შემცველი დამატების სახით.

პერსპექტივაში თქვენ მნიშვნელოვნად უნდა გაადიდოთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა ისეთი ჯიშების ხარჯზე, როგორიც არიან გერეფორდები, ანგუსები და შორტპორნები.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებმა მსოფლიოში პირველმა შექმნეს ხელოვნური დათესვა. ჩვენს ხანაში, როცა შესაძლებელია ტრანსპორტირება რეაქტიული თვითმფრინავების საშუალებით, შეიძლება ზომიერ ფასად შემოვიტანოთ თესლი მსოფლიოს საუკეთესო, პროდუქტიულობის მხრივ შემოწმებული მეურნეობებიდან.

* * *

პროგრესის შესაძლებლობანი წინათ არასოდეს არ ყოფილა ისე დიდი, როგორც სამოციან წლებში. კიდევ უფრო დიდი პროგრესის გზაზე უდიდესი დაბრკოლებაა ურთიერთის მიმართ ეშვები, რომლებიც აიძულებს ჩვენს ორივე ქვეყანას მეტისმეტად დიდი ხარჯები გასწიონ შეიარაღებაზე.

ორივე ჩვენი ქვეყანა დათანხმდა არ გამოსცადონ დიდი ატომური და წყალბადის ბომბები ზღვაზე, ატმოსფეროში ან კოსმოსში. ეს დამაიმედებელი წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

მაგრამ ამ მიმართულებით უფრო შორს უნდა წავიდეთ. მაშ იმედი ვიქონიოთ, რომ განიარაღების სფეროში კიდევ უფრო დიდი პროგრესი იქნება მიღწეული.

კუნ რეიდსი, აიოვა, აშშ.

1964 წლის 31 მარტი.

(„პრავდა")

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდების ზოგიერთი საკითხის შესახებ

როსუელ ჰარსტი

„ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი": „სწორედ პირუკუ"

ნიუ-იორკი, 28 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ს. ლოსელი იუწყება:

27 აპრილს გ

დაფასებული ღვაწლი

საქართველოს მწერალთა კავშირის კლუბში გაიმართა მწერალ როდიონ ჭორქიას დაბადების 70 და საზოგადოებრივ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავი საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა პოეტმა ხ. ბერულავამ.

მოხსენება როდიონ ჭორქიას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე გააკეთა კრიტიკოსმა ელ. ზამბახიძემ. იუბილარს გულთბილად მიესალმნენ გ. ლეონიძე, ბ. ჟღენტი, ა. მირცხულავა, ს. ჭილაია, ვ. გორგაძე, გ. ახალელიანი, უ. ობოლაძე, დ. ანთაძე და სხვ.

ვაჟა ამბობდა: „მწერალს უნდა უყვარდეს ადამიანი და მხურვალედ სურდეს მისი ბედნიერება". ამ სიტყვებით დიდმა სულმნათმა გამოხატა თვითეული შემოქმედისათვის სავალდებულო ის ფსიქოლოგიური და ეთიკური კანონი, ურომლისოდაც, არავითარი ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები არ შექმნილა და არც შეიქმნება.

ადამიანისადმი ნათელი სიყვარულის გრძნობა ამშვენებს ქართველი მწერლის როდიონ ჭორქიას ცხოვრებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

ამ გრძნობამ შეაძლებინა მას, ჯერ კიდევ 11 წლის ასაკში დაეწერა რევოლუციური პათოსით გამსჭვალული პირველი ლექსი „მაშვრალი", ხოლო 13 წლისას ფოთში გამართულ აკაკის საიუბილეო საღამოზე დიდი მგოსნისათვის მიეძღვნა ლექსი, რომლის გამო ქართული მწერლობის პატრიარქმა გულით დაულოცა ნორჩ შემოქმედს საწერლო მოღვაწეობის ჯნა, ხოლო ნიკო ნიკოლაძემ თავის ხარჯზე მიიბარა იგი ფოთის გიმნაზიაში.

ხალხის სამსახურში იზრდებოდა და იწრთობოდა რ. ჭორქიას პიროვნება და შემოქმედება. ახალგაზრდა პოეტი ლექსების კვალდაკვალ დგებოდა ქართული პროზის სამსახურში და 1924 წელს გამოაქვეყნა პირველი მოთხრობა, რომელიც ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში" დაიბეჭდა, ხოლო სამიოდე წლის შემდეგ მწერალმა ცალკე წიგნად გამოსცა პატარა ადამიანთა ცხოვრებისადმი მიძღვნილი მოთხრობათა კრებული, რომელებიც თავისი შინაარსითა და ფაქიზი ნაკეთობით დღესაც იქცევენ ჩვენი მკითხველის ყურადღებას.

როდიონ ჭორქია რეალისტი მწერალია. მისი გმირები, ცხოვრების წიაღიდან გამოსული ადამიანები, ნაცნობნი არიან ჩვენთვის თავიანთი აზროვნებით, გრძნობებითა და მოქმედებით. მას როგორც ჭეშმარიტ რეალისტ მწერალს

რ. ჭორქიას დაბადების 70 წლისთავის გამო

სწამს, რომ „ხელოვნება არ უნდა გაურბოდეს ცხოვრებას", შემოქმედი ერთდროულად ხელოვანიც უნდა იყოს და ღირსეული მოქალაქეც.

მწერალმა იცის, რომ ცალკეული პიროვნების ბედნიერება ორგანულად დაკავშირებულია იმ ხალხის ბედნიერებასთან, რომელსაც იგი ეკუთვნის, რომ ყოველი ადამიანი მხოლოდ ქვეყნის საკეთილდღეოდ გაწეულ შრომაში პოვებს ზნეობრივ კმაყოფილებას და რომ იგი ცხოვრებაში მუდამ დამარცხებული აღმოჩნდება, თუ თავის მოქმედებას საფუძვლად ინდი-



ვიდუალისტურ-ეგოისტურ მორალს და ფილოსოფიას დაუდებს. თავკერძა და განმარტებული ადამიანი ის „ფუღურო ხეა, — ათქმევინებს მწერალი ერთ თავის გმირს, — რომელსაც ადრე თუ გვიან ჭიები დაესევიან და წაამტვრევენ", ხოლო „ისინი, ვინც ერთად იკვნენ და არიან, ამაყად დგანან და შრიალებენ ჩვენი ქვეყნის ნათელი ცის ქვეშ" („ყველაფრის უფლება").

ადამიანთა გაერთიანებულ შრომასა და ბრძოლას, როგორც ყოველგვარი ბედნიერების სათავეს, აღიდებს მწერალი თავის მხატვრულ ნარკვევში „სამგორის ყვავილი". ამ მორალის მხატვრულ პოლოგიას წარმოადგენენ რ. ჭორქიას მიერ სამოქალაქო ომის თემაზე დაწერილი საბავშვო ქმნილებებიც, რომელთა შორის თავისი მხატვრული ღირსებითა და განცდათა სიღრმით როგორც თვალი პატიოსანი გამოირჩევა მოთხრობა „მარილის აკვანში".

ამ დიდებული „ძღვენით" შემოდგა ფეხი ქართულ საბავშვო მწერლობაში რ. ჭორქიამ და მტკიცედ დაიკავა საპატიო ადგილი.

რ. ჭორქია, სამშობლოს ურთგული პატრიოტი, ჩვენს ნორჩ თაობას, ახალგაზრდობას უნერგავს ქვეყნისა და ქართული ენისადმი თავდადებული სიყვარულის გრძნობას. თავისი შესანიშნავი მოთხრობებითა და ზღაპრებით მწერალი ახალგაზრდობას ასწავლის, რომ მამულიშვილი ის არის, ვინც ბეჯითი შრომით ქმნის ქვეყნისათვის სულიერ და ქონებრივ დოვლათს.

ამ საკითხისათვის მიუძღვნია მწერალს თავისი შესანიშნავი მოთხრობა „მწვანე კარავი", ნაწარმოები, რომელსაც ერთნაირი ინტერესით კითხულობენ როგორც პატარები, ისე უფროსებიც. ეს წიგნი ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრების შესახებ მხატვრულად დაწერილი თავისებური ენციკლოპედიაა, რომელიც თანაბარი ძალით მოგვითხრობს ახალი თაობის შრომაზე, სწავლაზე, მის ყოველმხრივ განვითარებაზე, ზნეობრივ წრთობაზე, სამშობლოს წინაშე მოვალეობის შეგნებაზე.

რ. ჭორქიას წრფელი და ნათელი გრძნობით უყვარს მშობლიური ხალხი, ჩვენი ახალგაზრდობა, რომელიც სიყვარულის ასეთივე გრძნობით უპასუხებს შუმოქმედს. ხალხის გულში სიყვარულის მოხვეჭა კი ნამდვილი გამარჯვებაა ყოველი მწერლისა.

ვლ. ზამბახიძე.

საღღესასწაულო ვაჭრობა

— დღესასწაულის წინა დღეებში, — აცნობა საქდესის კორესპონდენტს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს უფროსმა ნ. ბიბილეიშვილმა, — ბევრად უფრო დიდი რაოდენობით გაიყიდება სასურსათო საქონელი. 27 აპრილიდან 1 მაისამდე ქალაქის მაღაზიები გაჰყიდიან 200 ტონა ხორცს, 35 ათას ფრთა ფრინველს, დაახლოებით 100 ტონა ძეხვეულს, 120 ტონა თევზს, 80 ტონა ყველს. მნიშვნელოვნად მეტი გაიყიდება საკონდიტრო ნაწარმიც — ნამცხვარი, კამფეტი და სხვ. მაღაზიები დიდი რაოდენობით მიიღებენ საჩუქრებს ბავშვებისათვის.

მყიდველთა მომსახურების დაჩქარებლა და გაუმჯობესებისათვის ბევრ „გასტრონომში" იქმნება აწონილ-შეფუთული საქონლის სექციები.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველომ დაადგინა საღღესასწაულო ვაჭრობის წესი. 29 და 30 აპრილს სასურსათო მაღაზიები 24 საათამდე იმუშავებენ, ხოლო სამრეწველო საქონლის მაღაზიები — 22 საათამდე. 1 მაისს მხოლოდ პურისა და მორიგე სასურსათო მაღაზიები ივაჭრებენ. 3 მაისს მაღაზიები ივაჭრებენ როგორც ჩვეულებრივ დღეებში.

საპირველმაისო დემონსტრაციის მონაწილეთა მომსახურებისათვის ქალაქის ჭიჩებში გამოვა რამდენიმე ათეული ბუფეტი-ავტომობილი. (საქდესი).

დღითიდღე მშვენიერდება და კეთილმოწყობილი ხდება მზიური აპარა, მისი ქალაქები და საკოლმეურნეო სოფლები. შენდება ახალი საცხოვრებელი სახლები, სკოლები, კულტურის სახლები, სბავშვო ბაღები. ამ სურათზე თქვენ ხედავთ კაფე-პავილიონის შენობას, რომელიც ახლახან ჩადგა მწყობრში ჩაქვის უღელტეხილზე.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

მატჩები ● ტურნირები ● ჩემპიონატები

ლიდერთა მატჩი

პერუში კალათბურთელ ქალთა გუნდების მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი ტური დარჩა. სწორედ ამ შეხვედრებმა უნდა გადაწყვიტოს საპრიზო ადგილების საკითხი.

ფინალის მესამე ტურამდე დაუმარცხებლად მხოლოდ სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები იბრძოდნენ. ამიტომ ლიდერთა შეხვედრა ყურადღების ცენტრში იყო. როგორც წინა პაექრობებში, ამჯერადაც საბჭოთა კალათბურთელებს უპირატესობა ამჟავნა იყო და გამარჯვებაც მათ ხვდათ ანგარიშით 70:35 (34:14).

ამრიგად, ჩემპიონატში დაუმარცხებლად მხოლოდ სსრ კავშირის კალათბურთელები იბრძვიან.

ბულგარეთისა და იუგოსლავიის გუნდების პაექრობაში გაიმარჯვეს ბულგარელებმა 60:38.

ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე სპეციალისტები და მომამზილველები გამოთქვამენ აზრს, რომ საბჭოთა კალათბურთელებს ჩემპიონობის დიდი შანსები აქვთ. ისინი აშკარად სჯობნიან დანარჩენ ფინალისტებს, როგორც ტექნიკით, ისე ფიზიკური მომზადებით.

უცხოეთის სპალიონებზე

პარიზში გაიმართა ევროპის თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩი ფეხბურთში საფრანგეთისა და უნგრეთის ნაკრებ გუნდებს შორის. შეხვედრა უნგრელთა უპირატესობით აღინიშნა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

მართალია, ჯერ კიდევ არ დამთავრებულა ინგლისის პირველობის გათამაშება ფეხბურთში, მაგრამ ჩემპიონი უკვე ცნობილია. ფინიშამდე სამი ტურით ადრე „ლივერპულმა" 56 ქულა (26 გამარჯვება, 4 ფრე, 9 დამარცხება). შეაგროვა, უახლოესი მეტოქეებისათვის მიუწვდომელი აღმოჩნდა და ინგლისის ჩემპიონობა მოიპოვა.

მატჩები და შედეგები

გაიმართა „ა" კლასის მეორე ჯგუფის გუნდების მორიგი ტურის მატჩები ფეხბურთში. აი მათი შედეგები:

პირველი ქვეჯგუფი

„ქალგირისი" (ვილნიუსი) — „სტროიტელი" (აშხაბადი) 2:1, „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) — სკა (ნოვოსიბირსკი) 0:0, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „ზარია" (ლუგანსკი) 0:0, „პახტაკორი" (ტაშკენტი) — „ენერგეტიკი" (დუშანბე) 3:0.

მეორე ქვეჯგუფი

„მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) 1:2, „ალგა" (ფრუნზე) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 1:1, „დინამო" (ტალინი) — „კარპატი" (ლვოვი) 5:0, „სპარტაკი" (გომელი) — „დნიპრი" (დნეპროპეტროვსკი) 1:1, „შახტიორი" (ყარაგანდა) — „არარატი" (ერევანი) 2:3.

სპორტული ქრონიკა

☐ **ნეაპოლში** დამთავრდა წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. გაიმარჯვეს უნგრელებმა. მეორე ადგილი დაიკავეს მასპინძლებმა. სსრ კავშირის გუნდი მესამე იყო.

☐ **ამოიწურა** საკავშირო ჩემპიონატი პოლეიში. პირველობა წილად ხვდა ცსკა-ს გუნდს.

☐ **დევისის** თასის გათამაშებაში მოსაწილეობისათვის გუშინ კასაბლანკაში გაემგზავრა სსრ კავშირის ჩოგბურთელთა ნაკრები გიორგი ლეიუსის, მეტრეველის, ლიხაჩოვისა და ეგოროვის შემადგენლობით.

☐ **ამერიკელ** კალათბურთელებს გუშინ პაექრობა ჰქონდათ კიევში ლატვიის გუნდთან. დასაწყისში ინიციატივას სტუმრები ფლობდნენ, მაგრამ შემდეგ საბჭოთა კალათბურთელებმა აღადგინეს წონასწორობა და გაიმარჯვეს ანგარიშით 75:61.

გ. კაჩალინი — თბილისის „დინამოს" უფროსი მწვრთნელი

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელად დაინიშნა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. კაჩალინი.

ამ მოვალეობისაგან მ. იაკუშინი განთავისუფლებულია თავისი განცხადების საფუძველზე.

ბრძანება
თბილისის გარნიზონის ჯარისკაცებისადმი

№ 12

1964 წლის 25 აპრილი

ქ. თბილისი

1964 წლის 1 მაისის პარადის შესახებ

§ 1

1964 წლის 1 მაისს, მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის დღეს, რუსთაველის პროსპექტზე 10 საათზე დანიშნულია თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი.

პარადს მიიღებს ამიერკავკასიის საშხეადრო ოლქის ჯარების სარდალი არმიის გენერალი **ა. ტ. სტეჩენკო.**

პარადის სარდლობა ნაბრძანები მაქვს მე.

§ 2

ნაწილების მეთაურებმა პარადზე გამოიყვანონ ჯარები დამტკიცებული განრიგების მიხედვით. რუსთაველის პროსპექტზე ჯარების დაწყობა დამთავრდეს 9 საათსა და 30 წუთზე.

ტანსაცმლის ფორმა საზაფხულო, საპარადო.

§ 3

თბილისის გარნიზონის კომენდანტმა პოლკოვნიკმა **მ. ა. დუბოდელმა** მოახდინოს საარტილერიო სალუტის ჩემ მიერ მიცემულ მითითებათა თანახმად.

§ 4

რუსთაველის პროსპექტზე ჯარების დაწყობისა და გავლის დროს წესრიგის დაცვის საერთო ხელმძღვანელობას ვაკისრებ გარნიზონის კომენდანტს.

თბილისის გარნიზონის უფროსი
სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტი

ლუგოვცევი.

ქალაქის ელექტროტრანსპორტის მუშაობა 1 და 2 მაისს

1 მაისს ტრამვაი თბილისში იმუშავებს დილის 5 საათიდან 8 საათამდე და მუშაობას განაახლებს დღის 12 საათიდან გარდა 1 და 12 მარშრუტებისა, რომლებიც მიმოსვლას დაიწყებენ დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ.

ტროლეიბუსები იმუშავებენ დილის 6 საათიდან 8 საათამდე და მუშაობას განაახლებენ დღის 12 საათიდან გარდა 2, 3, 8, 10 მარშრუტებისა, რომლებიც მიმოსვლას დაიწყებენ დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ.

4 და 6 მარშრუტების ტროლეიბუსები 12 საათიდან მიმოდიან საბჭოთა კავშირის გმირთა მოედანამდე.

დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ ყველა მარშრუტი იმუშავებს ჩვეულებრივი წესით.

ტრამვაები და ტროლეიბუსები მუშაობას შეწყვეტენ ღამის 1 საათზე. 2 მაისს ქალაქის სამგზავრო ელექტროტრანსპორტი მუშაობს ჩვეულებრივი განრიგით.

თბილისის საქალაქო აღმასკომის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველო.

ბრიგადა ნოვოროსიისკში

ნოვოროსიისკი, 27 აპრილი. (საქდესი). დღეს ღილით ადრე გრიგალისებური ქარი ამოვარდა ნოვოროსიისკში. მისი ძალა 40 მეტრს აღემატებოდა სეკუნდში. გრიგალმა დაანგრია მსუბუქი ნაგებობანი, სავაჭრო კიოსკები, დაამსხვრია ხეები, დაარღვია სატელეფონო კავშირი, ფაბრიკებისა და ქარხნებისათვის ელექტროენერგიის მიწოდება. ქალაქის ხელისუფლებამ სასწრაფო ღონისძიებები მიიღეს, შექმნეს სპეციალური ბრიგადები და სამუშაო დღის დაწყებამდე გრიგალის მიერ დატოვებული კვალი ძირითადად მოისპო. ადამიანთა მსხვერპლი არ არის. მიუხედავად გრიგალისებური ქარისა, ნავსადგურ-ქალაქის ყველა საწარმო ნორმალურად მუშაობს.

ნაშუადღეს გრიგალი ჩადგა.

საინტერესო კომედია, ხალისიანი სპექტაკლი

გ. მდივნის პიესა „კონსული მოიპარეს" მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

მეოთხედ საუკუნეზე მეტია, რაც რუსთაველის თეატრმა ჰეროიკული პათოსითა და რომანტიკული გზნებით გამსჭვალული „ალკაზარი" დადგა. ამ ციკლოვანმა პიესამ შემოქმედების ფართო გზაზე გამოიყვანა იმხანად ახალგაზრდა დრამატურგი **გიორგი მდივანი,** რომელიც მალე თავისი ინტენსიური ლიტერატურული მოღვაწეობით და მხატვრული ნიჭიერებით ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი საბჭოთა დრამატურგი და კინოსცენარისტი გახდა. და აი, 27 წლის შემდეგ, გ. მდივნის ახალმა პიესამ **„კონსული მოიპარეს"** კვლავ გვაზიარა ბრძოლი დასაკვეთის თემას. მაგრამ ამ ორ ნაწარმოებს ერთმანეთისგან ჰყოფს მათი ავტორის საოცრად დაძაბული და შემოქმედებითი წინსვლით აღბეჭდილი ცხოვრების თითქმის სამი ათეული წელი.

გ. მდივნის ახალი ნაწარმოები შთაგონებულია კონკრეტული ამბებით. ამ ოროდე წლის წინათ, იტალიელმა სტუდენტებმა ესპანეთის კონსული მოიტაცეს, რათა შემდეგ იგი ფრანკისტულ ესპანეთში დაპატიჟებულ ანტიფაშისტზე გაეცვალთ და ამ გზით პროგრესული მოღვაწის სიცოცხლე ეხსნათ. დრამატურგი როდი ჩაკვეტა თავისთავად საინტერესო ამბის ემპირიულ ჩარჩოში (თუმცა სიუჟეტური რკალი მისი შემწეობით შეკრა). მრავალსმთქმელი შემთხვევის მოხერხებული მხატვრული გადაწყვეტით, მან შეძლო ფაქტისათვის მეტი პოლიტიკური სიმახვილე მიენიჭებინა, ხოლო ასასხავი მოვლენის საზოგადოებრივი ეღერადობის გაძლიერებით, აქტუალური, მხატვრულად მიმზიდველი და ფსიქოლოგიურად მართალი პიესა შეექმნა.

სპექტაკლი დადგა თეატრალური ინსტიტუტის დიპლომანტმა გ. ანთაძემ. ახალგაზრდა რეჟისორის არჩევანი უდავოდ მისასალმებელია. მან ამით ცხადყო თავისი მისწრაფება იდეურად ნათელი, შინაარსობრივად საინტერესო თანამედროვე ნაწარმოებებისადმი. ახალგაზრდა ხელოვანმა თავის დადგმაში ტეატაციებს და შექმნა სცენურად მიზანდასახული, ხალისიანი წარმოდგენა. სპექტაკლის ტემპი, ბუნებრივი რიტმი და კომპოზიციური მთლიანობა — რეჟისორის გაბრეგებულ მუშაობაზე მეტყველებს.

დადგმის სისადავე და თავდაჭერილობა მეღვნდება მხატვრობაშიც (ავტორი მ. მალაზონია) და მუსიკალურ გაფორმებაშიც (მუსიკა ე. მაჭავარიანისა). სპექტაკლის მხატვრული ფონი ნეორეალისტური სტილით არის გადაწყვეტილი და, ვფიქრობთ, ეს კარგი მიგნებაა (თანამედროვე იტალიურ ყოფასთან მეტი შესატყვისობის თვალსაზრისით). მაგრამ საჭირო იყო ამ ჩანაფიქრის უკეთესი ტექნიკური გადაწყვეტა. ახლა კი მხატვრული გაფორმება რამდენადმე ლარიტულად მოჩანს.

მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტური ამბის განვითარება დაკავშირებულია კონსულის მოტაცების ინიციატორთან, სტუდენტ ჩინოსთან, ხოლო მეწაღე პეპინო საქმეში უნებურად ჩათრეულ პერსონაჟად გვევლინება (რაც კომედიურობის წყაროს წარმოადგენს), პიესის მთავარი მოქმედი პირი (ხასიათის დასრულებულობისა და ფსიქოლოგიური მოტივაციის თვალსაზრისით) სწორედ ეს უკანასკნელია. ლატაკი, მაგრამ კეთილშობილი პეპინო მრავალმეტყველი მხატვრული სახეა. მისი შინაგანი ევოლუცია — გაუბედავი, საკუთარი ინტერესების რკალში ჩაკეტილი ხელოსნიდან საზოგადოებრივად აქტიურ, თამამ პიროვნებამდე, მისი გარდაქმნა პროგრესისათვის მებრძოლ ადამიანად — თანამედროვე დასავლეთის ისეულ ათასობით ადამიანის პოლიტიკური გამოფიზლებისა და მშვიდობის სადარაჯოზე დდგომის ტიპიური გზაა. ეს მომგებანილი ბრძოლა ოპერამენტანად, გაბრაბულად და მეტყველად შეასრულა ლევან ანთაძემ. ვფიქრობთ, რომ ეს ნიჭიერი მსახიობი შეძლებს განთავისუფლდეს გურული ყმაწვილის, ზურიელის, ასოციაციებისაგან და სხვადასხვა ეროვნებისა თუ პროფესიის ადამიანთა განსახიერება უფრო გაფართოებს მის შემოქმედებით დიაპაზონს.

შესანიშნავი პლასტიკით, დამაჯერებლობით და ექსპრესიით გამოირჩევა ახალგაზრდა მსახიობ ზ. ლებანიძის მიერ განსახიერებული ოფიციანტი ქალის ლოლას სახე, რომელიც აქტიორის უდავო წარმატებაა.

სტუდენტი პეპინო დრამატურგმა გაზნრახ ძუნწად, როგორღაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქარაგმულად დაგვიხატა. პიესაში საკმაოდ ბევრი სიმბოლიკაა და ავტორი თითქოს გაურბის პეპინოს სახის მეტისმეტ ინდივიდუალიზაციას, რათა სახალხო თავისუფლებისათვის მებრძოლთა ინიციატივა ერთ კონკრეტულ პიროვნებასთან კი არ დაეკავშიროს, არამედ თავისებურად სიმბოლურ, ზოგად ტიპთან. მაგრამ სიმბოლიკა არ ჩქმალავს პეპინოს ადამიანურ თვისებებს და ნიჭიერი მსახიობის შ. ქორჩოლაძის შესრულებით იგი საჭირო სიბეთოს, შთამბეჭდაობას და დამამახსოვრებლობას იძენს. შ. ქორჩოლაძის პეპინოში იგრძნობა შეუფერეკლობა და სიმამაცე, გონება და რწმენა.

სწორი ინტენსივრტაციით, კარგად მიგნებულ დეტალებით გამოირჩევა რ. ხოგასეგმენ საიდუმლოს. ესეც მეტყველი ფაქტია: ხალხი დარაზმულია, მას ვეღარ მოატყუებ, იგი მზარს უკერს თავისუფლებისათვის ბრძოლას. საიდუმლოს ინახავს თვით ისეთი ენაჭარტალა დედაკაციც კი, როგორიც ბიცოლა ჟანაა. ინახავს იმიტომ, რომ მშვიდობა სურს. სიხსლიანმა ომმა მისი ვაჟიშვილები შეიწირა და ჟანას აღარა სურს, რომ ახალგაზრდობა კვლავ გაიჟლეტოს. ბიცოლა ჟანას როლს დამაჯერებლად ასრულებს გ. ლეკვაკა.

მაღალი მიზნებისა და სახალხო საკეთისათვის ბრძოლა არა მარტო რაზმავს ადამიანებს, არამედ აკეთილშობილებს კიდეც მათ. წვრილი ვაჭარი ჩეზარე, რომლის როლსაც ასე ბრწყინვალედ ასრულებს სცენის ცნობილი ოსტატი ა. გომელაური, „წესიერების" ერთგული, რადგან ეს წესიერება სასარგებლოა მისთვის. ჩეზარე შინაგანად პოლიციელ ანტონიოსთან უფრო ახლოა, ვიდრე სტუდენტ ჩინოსთან, მაგრამ მას გადაეღობებიან მტკიცე ნებისყოფის ადამიანები, რომლებიც არა მარტო გამოფიზიზლებენ, არამედ კიდეც გარდაქმნიან მას. ალ. გომელაური შთაგონებულად, ღრმად, დიდი ლირიზმითა და გულშიგმწვდომი სიმარცოლით ნათელყოფს თავისი გმირის ხასიათს და უაღრესად ემოციურ სცენურ სახეს ძერწავს.

ჩეზარეს თვითნება მეუღლის მეტყველი სახე შექმნა ეკ. ვერულაშვილმა. დამაჯერებელი და კოლორატულია ვ. ცხვარაშვილი შოფრის, მარიოს როლში. მარიოს სიმტკიცე და რეაქციონერებისადმი სიძულვილი იტალიის ათასობით მშრომელის გაწწყობის მაუწყებელია. თუმცა ვ. ბერიკაშვილი და ე. თოფურია რამდენადმე სტატიურნი არიან (არც როლი აძლევთ დიდ გასაქანს), მაგრამ მათ. ისი როგორც გ. ბახტაძემ (პოლიციის ინსპექტორი) მაინც შესძლეს შეექმნათ საჭირო გარემოცვა მთავარი მოქმედი პირებისათვის.

ზედმეტად გროტესკული მოჩანან ჯ. გაგნიძე და ბ. ამაღლობელი კორესპონდენტისა და ფოტორეპორტიორის როლებში, თუმცა მეზობლების რეპორტიორის წინაშე აღსარების სცენა მეტად ცხოველი და ფერადოვანია. რეჟისორმა კარგად გაუსვა ხაზი ამ სცენას. ფაქტიურად სწორედ ეს არის მოქმედების დამაგვრგვინებელი აკორდი: თავისუფლების დაცვის სადარაჯოზე გამოსული ადამიანები კი არ ნანობენ თავიანთ საქცეელს, არამედ, პირიქით, ამაყობენ ამით, თუმცა გრძნობენ, რომ ამგვარი საქცელისათვის შესაძლებელია რეპრესიებიც დაიმსახურონ.

ზოგიერთი მცირედი და ადვილად გამოსასწორებელი ხინჯის მიუხედავად მარჯანიშვილის თეატრის სახელოვანმა კოლექტივმა წარმატებით გადაწყვიტა გ. მდივნის ხალისიანი კომედიურობით ლბეჭდილი პიესის სცენური განხორციელების ამოცანა.

გ. ციციშვილი.

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „კონსული მოიპარეს". **კონსული — რ. ხობუა, ლოლა — ზ. ლებანიძე.**

ფოტო ს. კილაძისა.

ბრძოლა სტიქიონთან

დუშანბე... დუშანბე—კიშლაღ აინის სატელეფონო კავშირი შეწყდა. შემოსავლელი გზით მთაგრეხილებზე სასწრაფოდ გადაყვანილ პირდაპირ ხაზს განუწყვეტელივ მოაქვს ცნობები კატასტროფის ადგილიდან. აქ ახლა მამაცურად ებრძვიან სტიქიონს.

...რა ხდება ამ რაიონში?

...უზარმაზარმა მეწყერმა მთლიანად ჩაგმანა ზერავშანის კალაპოტი. ელვის სისწრაფით მატულობს შეტბორებული წყლის დონე. შეიქმნა იმის საფრთხე, რომ ტბა წალეკავს დაბრკოლებას და გამანადგურებელი ნიაღვარი გრიალით ჩაუვლის ზერავშანის ხეობას და მიაწყდება პენჯიკენტისა და სამარყანდის აუვავებულ ოაზისებს.

მთის ქანების მასის მოცულობა, რომელიც ამ დღეებში ზერავშანის ქედის კალთებიდან ჩამოიქცა, მეცნიერების გამოანგარიშებით 8-10 მილიონი კუბური მეტრია. საგუბარს 200 მეტრი სიმაღლე აქვს. ახლა, როცა მთებში თოვლი დნება და გადაუღებლად წვიმს, ზერავშანის მძლავრ ნაკადს ყოველდღიურად მოაქვს დაახლოებით 6 მილიონი კუბური მეტრი წყალი. რაკი წყალი გზას ვერსად პოულობს, მეწყერის ზედაპირისაკენ ადის. ტბაში უკვე დაგუბდა 20 მილიონი კუბური მეტრი წყალი. გამოანგარიშებულია, რომ ეს მოცულობა შეიძლება 80 მილიონამდე გაიზარდოს. მოსალოდნელი წყალდიდობის აღსაკვეთად ჰიდროტექნიკოსებმა წინადადება წამოაყენეს ნიადაგის აფეთქებით ზერავშანს ახალი კალაპოტი გაუყვანონ. ამ მუშაობას ხელმძღვანელობენ ტაჯიკეთისა და უზბეკეთის მთავრობათა სპეციალური კომისიები. ათასობით კოლმეურნემ ნიბაყოფლობითი რაზმები შექმნა. მათ ეხმარებიან თურქესტანის სამხედრო ოლქის მეომრები. იმ ადგილს, სადაც კატასტროფა მოხდა განუწყვეტლივ მიაქვთ ტექნიკა, სათბობი, სურსათი, სამშენებლო მასალა.

საჭიროა უახლოეს რამდენიმე დღეში თიხის მეწყერზე ნახევრკილომეტრიანი წრიული არხის გაყვანა, რომელსაც 40-50 მეტრი სიღრმე ექნება. საჭირო იქნება დაახლოებით 250 ათასი კუბური მეტრი ქანის გადატანა.

სამარყანდი. მდინარე ზერავშანში ჩამოქცეულ უზარმაზარ მეწყერთან გაიშალა მუშაობა მოსალოდნელი საფრთხის აღმოსაფხვრელად. გადაწყდა, სასწრაფოდ გაიყვანონ წრიული კალაპოტი და ამ კალაპოტში მიუშვან საგუბარში შეტბორებული წყალი. ეს პროექტი სახელდახელოდ შეიმუშავეს სპეციალისტებმა. სამარყანდის სარწყავი სისტემის სოფლო ამსამართველოს უფროსმა ინჟინერმა გ. რ. ფარხადმა საკდესის კორესპონდენტს აცნობა, რომ ახლა ეულდასმით ამორცელებენ ღონისძიებებს, რათა აღკვეთონ ყველაზე მოსავლიანი რაიონების ზოგერთი მასივის წალეკვა. აქ ყველგან დგას სათვალთვალო საგუშაგოები, რომლებიც დღე და ღამე ინიშნავენ ზერავშანის წყლის რეჟიმის ცვლილებებს.

სპეციალისტთა გამოანგარიშებით, წყალს, რომელიც ახლა გუბდება მთის ჩაგმანულ ორწოხში, გამოუშვებენ ისეთი რაოდენობით, რომ არ გამოიწვიოს რაიმე არასასურველი მოვლენა მდინარის ჭალებში. თუ ვინიცობაა ზერავშანის დონემ მაინც გადააჭარბა წყალდიდობის ზღვრულ დონეს, შემუშავებულია ნიადაგის იძულებითი გადაღების გეგმა. ყველა დიდი არხი გაძლიერებით მიიღებს წყალს.

ბულუნგურის, პაიარიკის, იშტიხანის, სამარყანდის, კატაკურგანის, ნარპაისის საწარმოო სამმართველოებში სწრაფად ყართოვდება წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოთა ფრონტი. ასვთი მუშაობა აქ ყოველთვის მიმდინარეობს ამ დროს. ათობით ექსკავატორი და ბულდოზერი ამაგრებს ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს, აგებს მიწის ჯებირებს იმ ადგილებში, სადაც მოსალოდნელია ზერავშანის ადიდების დროს წყალმა გადაუაროს ახლო-მახლო დაბლობ მასივებს. (საკდესი).



თეატრი
29 აპრილი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ლაურენსია (მე-6 აბონ. მე-10 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის დიდი** დარბაზი — ზაფხულის ღამის სიზმარი (პრემიერა. აბონ. გარეშე), **მარჯანიშვილის სახელობის** — ჩვენი ყვავილეთი (მე-10 აბონ. მე-6 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — საჭიროა მეტეუერა (აბონ. გარეშე), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — თეთრად ფრიალებს აფრა ეული (აბონ. № 6, დილის 10 ს.), **ფილარმონიის საზაფხულო** — პატ სტერის (აშშ) კონცერტი (ხალხური სიმღერები).

პირველი პროგრამით
რადიო
30 აპრილი

06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 07.30 — რადიოგაზეთ „საქართველოს პიონერი", 08.30 — ქართული პოპულარული მუსიკა, 09.15 — პიესები საესტრადო ორკესტრისათვის, 11.15 — ო. თქთქაძეშვილი. კანტატა თბილისზე; ა. ბალანჩივაძე. მესუმე. კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 12.15 — კულტურის რადიოუნივერსიტეტის გადაცემა — „მატერიის აგებულება" — საუბარი — „დედამიწის კოსმოსური გარსი", 12.30 — თვითმოქმედი ანსამბლებისა და ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონცერტი, 13.40 — აფხაზური სიმღერები, 17.15 — ნაწყვეტები დ. არაყიშვილის ოპერიდან „შოთა რუსთაველი", 17.35 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 18.10 — მედფუეთა ანსამბლის კონცერტი, 18.45 — რომანსები ზ. დოლუხანოვის შესრულებით, 19.30 — გადაცემა — „გაზაფხულის დღესასწაული", 19.45 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 20.15 — „ძილისპირული", 20.30 — კონცერტი-მიმოხილვა „თბილისის მუსიკალური საღამოები", 23.30 — მსუბუქი მუსიკა.

კინო
29 აპრილი

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზაფხულო), ფილარმონიის ბაღი, კომუნარების ბაღი — **მეხუთე კონტინენტის გზები,** ამირანი (საზაფხულო), კომკავშირელი — **სინდბადის მეშვიდე მოგზაურობა,** ოქტომბერი, ისანი, სპარტაკი, საქართველო (წითელი დარბაზი), კოლხიდა (საზამთრო), პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო) — **დიდი პატრუქი,** თბილისი, კიროვის სახელობის პარკი — **კაპრონის ბადე,** 26 კომისრის სახელობის (პ